




# ილორი



№ 45 (109) 15 დეკემბერი 2009 წლის 15 დეკემბერი "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

## 2 სუდ-ამორო-მეუღლები



**10**  
მართლმადიდებელ ეკლესიასა და კატოლიკურ შიშველ ხუთი წლის წინათ დაიწყო თავისუფლების ინსტიტუტმა“

სამეგრელო კონფედერაცია მიკლავნილი ფანტომის დისკოს ამოკითხვასთან დაკავშირებით



**4**  
ლავრენტი ბერია — ქართული გენია



გაზეთი "ილორი" უკვდება რეპრესიას "საუბრის სფეროში კლუბები"



„არსენალი,, ლონდონი, ინგლისი **12**

დეზერტირი №5, ანუ ბერკაუნდიანი ყბელები **5**

ფსიქოპორტრეტი: ალექსანდრე ჭაჭია **11**

**7**  
უფლებობის ზონა

საპარტიზო უფლებობის ზონა

Zone deprived of rights

of violation of fundamental human rights and freedoms in Georgia

კონსტანტინე ბორისძე  
სამეგრელო და სვანეთი  
1854-1861

**9**

“პენზის ხელისუფალი“

# სულ ამორთმეულები

აღბათ ყველას ახსოვს, 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი დემონსტრაციის ხელისუფლების მიერ მხეცურად დარბევის შემდეგ როგორ ისტერიულად გაპიროდა საქართველოს პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე: "სულელებს ამოგხდით ყველასო". ნამდვილად რომ სიტყვის პატრონები არიან "ნაციონალები" და მათი თავგაბი მიხეილ სააკაშვილი – თანდათან ხდიან ახალგაზრდობას მამულიშვილურ სულს და ეროვნულ სულისკვეთებას იმ სუროგატული დასავლური ღირებულებებით უცვლიან, რომელიც მხოლოდ ერის გარყვინისა და განადგურება-გადაშენების საქმეს ემსახურება. და ეს კეთდება მიზანდასახულად, რთული გათვლების გამოყენებით...

ამას წინათ გაზეთმა "ასავალ-დასავალ-მა" გამოაქვეყნა ინტერვიუ ცნობილ ქართველ მწერალ-ნოველისტთან, მეცნიერთან ბატონ რეზო მიშველაძესთან, სადაც ინტერვიუერი გულსწვრთმას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ჩვენს სკოლებში აღარ ისწავლება დიდი ქართველი მამულიშვილი მწერლების ნაწარმოებები.

ჯერ იყო და, კვანია-სააკაშვილის პოლიტიკური გუნდის ინიციატივითა და შეგარდნადის წაყრუებით საბუთებიდან მამის სახელი და ეროვნება ამოგვიშალეს იმიტომ, რომ დაგვაგვიწყო ჩვენი გვაროვნული წარმომავლობა და დიდი ისტორიული წარსულის მქონე ქართველი ერი მანქურთხად აქციონ. და ეს მაშინ, როცა ესპანურ თუ არაბულ-სპარსულ გვარ-სახელებში წინაპართა 10-11 სახელი არის ხოლმე აღნიშნული. ჩვენ კი საკუთარი მამის სახელის ხსენებასაც კი გვიკრძალავენ.

რაც შეეხება ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებს, ამოღებულია გრიგოლ

ორბელიანის "სადღეგრძელო" ისტორიული შეხახილისათვის "სხვა საქართველო სად არის", პოეტის მეორე ლექსი "პასუხი შვილთა" კი იმიტომ ამოიღეს, რომ მასში შემდეგ სიტყვებია: "რა ენა წახდეს, ერი დაეცეს". ამოღებულია აკაკი წერეთლის "ბაში-აჩუკი", რადგან თავისუფლებისათვის ერთიანი ბრძოლის იდეას ქადაგებს. ამოღებულია ვაჟას სტატია "კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი", რადგან ვაჟა კოსმოპოლიტიზმის წინაშე უპირატესობას პატრიოტიზმს ანიჭებს!

ამოღებულია ნიკო ლორთქიფანიძის "იყიდება საქართველო", რადგან ეს ჩანახატი ხელმოწევით ეხმაურება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას. სახელმძღვანელოებიდან ამოიღეს დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის უკვდავი ნაწარმოები "ჯავახის ხიზნები", რადგანაც მწერალი ქართველ ერს მკაცრად და კატეგორიულად აფრთხილებს: ნუ გამიზავლებ შენს მიწაზე უნებართვოდ შემოსებულ უჯიშ სტუმარს, თორემ ერთ მშვენიერ დღეს შენვე გაგასახლებს საკუთარი სახლიდან! განა ჩვენს მიერ მათი გაჭირვების ჟამს შემოკედლებული ოსი სეპარატისტები სხვათადად იქცევიან? ოსების მოძალემა შენ მერე ნახე, თუ ჩრდილოეთ კავკასიაში ვაპატიებთ გაიმარჯვებენ და მათ მტრად აღიარებულ ოსებს დასაკლავად გამოედევნებიან. ხოლო თუ ოსებს ასევე მუსულმანების მიერ გადმორეკილი სომხებიც დაემატებიან, მერე მართლაც აღარ დარჩება საქართველოში ქართველი კაცის ადგილი, რომელთაც ევროპის ქვეყნებში გამგზავრების სისტემის გამართვებით უკვე გახსნილი აქვთ გზა ლუკმა-პურის ძებნაში საქართველოდან გადასახვეწად.

სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოღებულია გალაკტიონის ლექსი "მამული" სტრიქონისათვის: "სხვა ხალხის ისმის აქ კრიაშული". პროგრამიდან ამოღებულია ალექსანდრე ყაზბეგის შესანიშნავი ნაწარმოები "ხევისბერი გონა" იმიტომ, რომ თურმე გლობალიზტებს ხელს არ აძლევს ხევისბერის მწარე შეხახილი: "იცოდნე, სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძეგლებია

ჩაფლული, იმ მიწას გედავებიან და არ დაანებო!"

ასევე ამოიღეს პროგრამიდან ნაწევრები შეხანიშნავი ნაწარმოებიდან "დათა თუ თაშხია", სადაც წინა პლანზეა წამოწეული ქართველი ერის ზნეობრივი კეთილშობილება და საქართველოსათვის ისტორიული ფუნქციის დაბრუნება. ეს კი კატეგორიულად მიუღებელია გლობალიზაციის მსოფლიო პოლიტიკისათვის.

სახელმძღვანელოებიდან ამოღებულია იაკობ გოგებაშვილი, თუმცა უკვდავი "დედა ენის" შემოქმედისადმი ხელისუფალთა ამგვარი სიძულვილი სავესებით გასაგებია: მის ერთ-ერთ ნაწარმოებში "ამბავი თვედორე ხუცესისა" მოთხრობილია, თუ როგორ გადაარჩინა სომხის ტერტერამ სააკაშვილმა ქართლის რამდენიმე სოფელი სპარსელთა შემოსევისაგან. ნაცვლად იმისა, რომ სათანადოდ დააფასონ ქართველების გადამარჩენი სომეხი მღვდლის გმირობა, საგულდაგულოდ ჩქმალავენ მის სახელს, რადგან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ისტორიული სომხობა არ გაუხსენონო. რა საჭიროა ამ საქმეში იაკობ გოგებაშვილის დამოწმება, როცა ძირძველ თბილისელებს კარგად ახსოვთ ქართველებში მეტად დაფასებული, უადრესად განათლებული სომეხი მეცნიერი და კულტურული პიროვნება, პრეზიდენტ სააკაშვილის ბაბუა – მიხეილ სააკაშვილი.

რაც შეეხება გლობალიზაციის არტახებში მოქცეულ საქართველოს, მას საქართველოს ხელისუფლება და მსოფლიოს მამები მხოლოდ სამ პერსპექტიულ ჭრილში სჭვრეტენ:

– საქართველო უნდა გარდაიქმნას კურორტ-სახელმწიფოდ, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა კი უნდა გადაიქცეს უცხოელ სტუმართა მომსახურე პერსონალად. მოსამსახურე პერსონალისათვის საგაღდებულო არ გახლავთ უმაღლესი განათლების მიღება;

– საქართველოში უნდა ჩაკედეს ადგილობრივი წარმოება, რათა გზა გაეხსნას უცხოეთის საწარმოებში გამოშვებულ პროდუქციის იმპორტს. ამიტომ, საქართველოს არ სჭირდება ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და სხვა დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები;

– საქართველო უნდა დაქუცმაცდეს მხარეებად, ქვეყანაში უნდა გაუქმდეს ერთიანი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, რათა მას არ გაუჩნდეს საერთაშორისო ინსტიტუტებში და სახელმწიფოთაშორის პროცესებში მონაწილეობის მიღების სურვილი. ამიტომ, რაც შეიძლება უნდა შემცირდეს საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა, საერთოდ კი შემცირდეს მისი მოსახლეობა!

არ გაინტერესებთ, რატომ უწყობენ ხელს საქართველოდან ხალხის გადინებას (განსაკუთრებით – ქალების)?

იმიტომ, რომ საქართველო სჭირდებათ ქართველების გარეშე! მათ შეისწავლეს, რომ ჩვენი საყრდენი ოჯახია და სწორედ ეს ოჯახები გაბზარეს და დაანგრეს! მათ გაიგეს, რომ ოჯახის ბურჯი კაცია, მშრომელი, შემოსავლიანი, ამაყი, პრინციპული, ღირსეული. ამიტომ ცდილობენ ისინი ყველა საშუალებით ქართველი კაცის დაბეჭახებას.

ოჯახების ნგრევა და ერის ზნეობის გაცემტვერება საქართველოს მოკვდინებას ნიშნავს!

გაშენათ, ღმერთმა! განა სწორედ ეს არ არის სომეხთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება?

ახლა მაინც თუ ხვდებით, ვის ხელში ვიმყოფებით და საით მივქანებით?

როლანდ ჯალაღანია

# მიმართვა

მოგმართავთ სააკაშვილის რეჟიმისგან რეპრესირებულებს, პატიმრებს, ვინც პოლიტიკურ პატიმრად ან სინდისის ტუსად აღთქმით თავს!

**პატივსაცემ!**

ჩვენ წილად გვხვდა უადრესად საპატიო და ამავედროულად – უძიმესი მისია, გაემხდარიყავით იმ ხელისუფლების დევნის ობიექტები, რომელსაც ჩვენი სამართლიანი და პატრიოტული მიზნებით ვუპირისპირდებით. ჩვენი, ანუ პოლიტიკატიმრების არსებობა დღესდღეობით ერთ-ერთი ძირითადი დასტურია, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ტირანულ რეჟიმად არის ჩამოყალიბებული! **სწორედ ჩვენნი ვართ, სამართლიანად აღიარებული დამპყრობის წინაშე სააკაშვილის რეჟიმის გაშინება და მისი ნამდვილი სახის წარმოჩენა. რადგან დამპყრობატი უნდა აღიარდეს თავისი პოლიტიკატიმრები და სინდისის ტუსაღები არ უნდა არსებობდნენ!**

დამპალი რეჟიმი და მისი პირველი პირები კვლავ თავხედურად, მიუნხაუზენის პათოსით განაგრძობენ მსოფლიოსთვის თვაღში ნაცრის შეგრას, რომ თითქოს საქართველოში დემოკრატია ყველის თავისი ყველა კრიტერიუმით...

ახეთ ტყუილებს მათ უკვე აღარ უჯერებენ, თუმცა, არა ჩვენი დამსახურებით... არადა, ჩვენ შეგვიძლია, მნიშვნელოვნად დაგაჩქაროთ რეჟიმის მს-

ილებისა და საბოლოო გაკოტრების პროცესი! **ამდენი პოლიტიკატიმარი ვიყავით მთელსაქართველოში და ჩვენს სიმრავლეს არ ვიყვანებდით?! ჩვენ რომ პოლიტიკატიმრები ვართ, ეს უკვე ბრძოლაა, მაგრამ ეს ბრძოლა უფრო დიდი, უფრო ძველმისილი გახდება, თუ ერთმანეთში კოორდინაციას ვიქონივთ, თუ პრაგმატულად, მიზანდასახულად ვიმოქმედებთ! ჩვენ უკვე იმდენნი ვართ, ერთად რომ დავიყვიროთ, სააკაშვილის რეჟიმი დასამსობად ამ ხმის ტალღებით გამოწვეული ვიბრაციაც ეყოფა! ჩვენ, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელ პოლიტიკატიმრებს, იმის ძალა შეგვწევს, რომ ჩვენ-ჩვენი პარტიების ხელმძღვანელობა ერთად დავსხათ და ამ საკითხში კოორდინაცია მოვთხოვით.**

გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი ბრძოლა უნდა მიემართოს არა ჩვენი გათავისუფლებისათვის, არამედ რეჟიმის საერთაშორისო ასპარეზზე მხილებისათვის! ამ მხრივ, უმჯობესია, რაც შეიძლება დიდხანს, რეჟიმის დამსობამდე ვიყოთ პატიმრობაში, რადგან სწორედ ჩვენი პოლიტიკატიმრობაა ამ რეჟიმის მორყევის მთავარი გარანტი!

ჩვენ ყველას გვყავს ოჯახები, ყველას გვენატრება თავისუფლება, მაგრამ მიზანი, რომლისთვისაც ვიღვწით, ყველაფერს აღემატება, მით უფრო, რომ ეს მისია უფალმა გვარგუნა!

**თავს უფლებას მივცემ, უმბახუნებოთ რამდენიმე ფაქტი.**

# პოლიტიკატიმარ ზაზა ღავითაიას დია წერილი ყველა პოლიტიკატიმარს საქართველოში

რომელმაც უმსაძლესა, ჩვენნი მომავალი მოქმედების დაგეგმვაში იმტონის დიდი გავლენა:

ევროსაბჭომ ოფიციალურად აღიარა პოლიტიკური პატიმრების არსებობა სომხეთსა და აზერბაიჯანში და მიადწია, რომ მათი დიდი ნაწილი უკვე თავისუფალია. ამ მხრივ დიდი დეწლი მიუძღვის "ანამიანის უფლებათა სამართაშორისო ფედერაციას" (FUDH) რომელმაც იტიერთა შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები ხსენებულ ქვეყნებში. ახლა საქართველოს ჯერია... FUDH-ის საგამოძიებო კომისიის წარმომადგენლები 2008 წლის ნოემბერსა და 2009 წლის თებერვალში სტუმრობდნენ ჩვენს სამშობლოს. ისინი შეხვდნენ სავარაუდო პოლიტიკატიმრების ოჯახის წევრებს, ადვოკატებს, არასამთავრობო სექტორს, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებს და ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. მათ სურდათ შეხვედრა სავარაუდო პოლიტიკატიმრებთანაც, მაგრამ ხელისუფლებამ მათ ამის საშუალება არ მისცა გასაგებო მიზეზის გამო. FUDH-ის მისიამ 8 საპილოტო საქმის განხილვის საფუძველზე დაადგინა საქართველოში პოლიტიკატიმრების არსებობა, გამოაქვეყნა ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა ევროსაბჭოს.

თავის რეკომენდაციაში FUDH-მა ევროსაბჭოსგან მოითხოვოს ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და მათი საქართველოში მოვლინება, რათა

საბოლოოდ დადასტურდეს, რომ საქართველოში არსებობენ პოლიტიკატიმრები, რომელთა სტატუსი შეესაბამება ევროსაბჭოს მიერ აღიარებულ პოლიტიკატიმრის ცნების საერთაშორისო კრიტერიუმებს.

ჩვენ, ქართველ პოლიტიკატიმრებს, შეგვიძლია, ჩვენი ადვოკატების მეშვეობით დავამართოთ ერთმანეთში კოორდინაცია, შევადგინოთ ტექსტი, რომლითაც ევროსაბჭოს მივუწოდებთ ექსპერტთა ჯგუფის შექმნის დანქარებას, მოვითხოვთ ხსენებულ ჯგუფთან შეხვედრას და ჩვენი პოლიტიკატიმრობის საბოლოო აღიარებას!

ყველა სკეპტიკოსი დამეთანხმება, რომ საერთაშორისო არენაზე ასეთი აღიარების მიღწევის შემთხვევაში სააკაშვილის რეჟიმი საბოლოოდ გაკოტრდება და კიდევ გაიწივება! ჩვენ კი, სამშობლოს წინაშე უფრო პირნათელნი ვიქნებით, რადგან არა მხოლოდ პასიური მდგომარეობით (პოლიტიკატიმრობით), არამედ აქტიური ქმედებებით შევიტანთ ჩვენს წვლილს მისი გადარჩენის და გაბრწყინების საქმეში.

**უფალი იყოს ჩვენი უმთავრესი და უფარველი!**

**ზაზა ღავითაია,**  
პოლიტიკატიმარი,  
რუსთავის კოლონია №2, საკანი №22

# სიმღერა და სჯილი

რატომ გაქრო ხელისუფლებამ ტელევიზორიდან „იანანას“ რეკლამები და რაზე მიიღო პატივად ზურჯულაძემ პატრიარქის ლოცვა-კურთხევა

მიმდინარე წლის შემოდგომაზე მოსკოვში გრანდიოზული საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მსოფლიო ბანმა – პაატა ბურჭულაძემაც მიიღო.

ბატონ პაატაზე მის მიერ განვლილ პროფესიულ გზაზე საუბარი შორს წაგვიყვანს და ამჯერად თქვენს ყურადღებას მხოლოდ მის საქველმოქმედო საქმიანობაზე შევაჩერებთ. პაატა ბურჭულაძის ფონდი „იანანა“ ბევრი ქართული ოჯახისათვის ისეთივე მშობლიური, ისეთივე მზრუნველი და თბილი აღმოჩნდა, რასაც თვითონ სიტყვა „იანანა“ გულისხმობს...

უსახლკარო და მრავალშვილიანი ოჯახისთვის სწორედ ფონდი „იანანა“ იქცა ერთადერთ ხელისუფლებად, თორემ ინჟინერ-პოლიტიკოს ვანო მერაბიშვილის უწყებამ რა ხარისხისა და რა მასშტაბების „გეტოები“ ააგო გორისკენ მიმავალ ტრასაზე, გამგულ-გამომგულ-იც კარგად ხედავს!

რატომ გაქრა ერთ ხანს ქართულ არხებზე (კავკასიის გარდა) რეკლამა: „დარეკეთ 30-30“ – ძნელი დასაჯერებელია, რომ რეკლამის საფასურის გადაუხდელობის გამო. მაშ, რაშია საქმე? – იკითხავს მკითხველი და დარწმუნებული ვარ, უმად იმას გაიფიქრებს, რაც მე გავიფიქრებ ვიდრე მეტად ავტორიტეტული წყარო ამბის მოყოლას შეუდგებოდა ჩემთან.

„არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოთ მონაწილეობა 6 სექტემბერს მოსკოვში დანიშნულ საქველმოქმედო კონცერტზე“ – საკმაოდ მკაცრი ტონით მიუმართავთ ბატონი პაატა ბურჭულაძისთვის „ამათ“(!). „კი, მაგრამ, როგორ? პროგრამა დიდი ხნის შედგენილია, მე პოლიტიკოსი არ გახლავართ, მომდერალი ვარ...“ – უპასუხია ბურჭულაძეს.

„თუ მოსკოვში ოკუპანტებისთვის იმდერებთ და ფონდ „იანანას“ პრობლემებს შეეუქმნით, გასაგებია?“ – უფრო მკაცრად გაუფრთხილებითა მსოფლიოში „ბრაფო“ და „ბისზე“ ყურმილით ბატონი პაატა და ყურმილი დაუგდაიათ!

„რა ვქნა, როგორ მოვიქცე, უარი როგორ ვთქვა საქველმოქმედო კონცერტზე, რომელიც ინვალიდი ბავშვების დასახმარებლად ეწყობა?“ – ამ სიტყვებით მიუმართავს მისი უწინდესობისათვის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ისთვის ბურჭულაძეს.

„იმედრე, – უთქვამს პატრიარქს და თან დაუძვინჯა, – ქველმოქმედებას ვერც ერთი პოლიტიკოსი წინ ვერ აღუდგება, მათ შორის ჩვენიან!“

მოკლედ, ბურჭულაძემ პატრიარქის ლოცვა-კურთხევა მიიღო და მოსკოვში გამართულ საქველმოქმედო კონცერტზე მონაწილეობის აუცილებლობა უწინდესის ნებართვით განამტკიცა!

როგორც კი ეს ამბავი შეიტყვეს, ამ ჩვენი ქვეყნის დამაქცევრებმა საკუთარ ტელევიზიებს უბრძანეს: „იანანას“ რეკლამები ეთერიდან სასწრაფოდ გააქრეთო!“ პოდა, გაქრა კიდევ.

მაშინ ვერ დავადგინეთ, რა ხდებოდა ფონდ „იანანაში“, რადგან ფონდის დირექტორის – ბატონ გურამ ახალაიას მობილური ტელეფონი „მომსახურების ზონიდან იყო გასული“, ოფისის ტელეფონზე: 37-46-95 მთელი დღეების განმავლობაში არავინ იღებდა ყურმილს!

ვინც მოსკოვში კონცერტში არ მონაწილეობის სურვილი ღიად დააფიქსირა და

ვინც თქვა: ჩემი მოქალაქეობრივი, პატრიოტული ვალი ასეთი ფორმით გამოვხატო, ნინო სურგულაძე გახლდათ, რომელიც ბათუმში ერთი დღით ჩამოაფრინეს და რომელმაც „ასწლოვანი მნიშვნელობის“ კონცერტი გამართა ნინო ქათამაძესთან ერთად და მიშას ტელევიზიებთან კარგა ხანს იეკლუცა საკუთარი (თუ სხვის მიერ ნაკარნახევი) გადაწყვეტილების გამო!

თუ როგორ „დაისაჯა“ თვითონ პატრიარქი იელოველთა ატამანების, პედარასტების მაქებრებისა და ჩვენი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიძულელით აღვსებული ხელისუფლების მიერ, ეს ტელეკომპანია „იმედზე“ გასულ სიუჟეტშიც აისახა, როცა ასეთი ფრაზა გაუღერდა: „საპატრიარქო სახიფათო თამაშებში ჩაერთო“.

ალბათ, საინტერესოა, რა ხდებოდა და რა მიზეზით აღარ გადიოდა „იანანას“ რეკლამა ისეთ „პოპულარულ“ არხებზე, როგორცაა „რუსთავი 2“, „რუსთავი 3“, „რუსთავი 4“ და ა.შ.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა გახდა რეკლამის შეწყვეტის მიზეზი, „რუსთავი 2“-ის პიარისა და მარკეტინგის სამსახურში (ტ. 20-11-11-5) გვიპასუხეს:

– პო, აღარ გადის ეგ რეკლამა, აღარ გაგრძელდა...

– რატომ, გადახდილი თანხა ამოეწურა ფონდ „იანანას“?

– არ ვიცი, უბრალოდ მართლა არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ის, რომ აღარ გადის ეთერში, კარგად ბრძანდებოდა.

ტელეკომპანია „იმედზე“ იგივე შეკითხვით დავერკეთ, მაგრამ, როგორც განვიმარტეს: ტელეკომპანია „იმედში“

სარეკლამო საეთერო დროს ყიდულობს და თვითონვე განაგებს ფირმა „თაჩ მედია“,

რომელთანაც დაკავშირება არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა:

– ფონდ „იანანას“ რეკლამები მოხვედრა, ამიტომ აღარ გადის ეთერში. გააკეთებენ ახალს და შევიძენთ, რა პრობლემაა? რატომ დაინტერესდით? – შეგვეკითხა ახალგაზრდა გოგონა, რომელმაც საკუთარი ვინაობა რატომღაც არ გვითხრა...

– სულ ეგ არის მიზეზი და სხვა არაფერი?

– დიას, მეტი არაფერი. აი, თქვენ, პირადად, არ მოგებურდათ ერთი და იგივე რეკლამის ყურება თვეების განმავლობაში? ყველაფერს თავისი დრო და წესი აქვს, გენაცვალე, დაძველდა რეკლამა და მოიხსნა ეთერიდან, აქ მეტი მიზეზი რა უნდა იყოს, გაუგებარი რაა? კარგად იყავით...

აი, ძვირფასო მკითხველო, თურმე რატომ გამქრალა ეკრანიდან რეკლამა „დარეკეთ 30-30“, მაგრამ საინტერესოა, ამ ჩვენს ქვეყანაში, ნაცრის უღვევი საბადოებია, თუ რა ხდება, წამდაუწყებელი დიდი „ლაფათით“ რომ გვაყრიან თვალბეჭდით?

თუკი პაატა ბურჭულაძე მოსკოვში იმდერებს, ამით რა, იგი ქვეყნის მოღალატეა და საკუთარ სამშობლოში კეთილშობილური ზრახვების განხორციელებაში ხელი უნდა შეუშალოს ამ უსამშობლო ავახაყებმა? ანდა ჩვენი პატრიარქი „იმით“ დასამანტაჟებელია წამდაუწყებელი, ვისაც არ ეხარება, ვისაც არ გეგობის და ვისაც უფლება არ აქვს, პრეტენზია პქონდეს ზნეობაზე, სიყვარულზე, სიბრძნესა და მამულიშვილობაზე? რა სინდისით აყენებენ მის დამოკიდებულებას ეჭვის ქვეშ და უკვირებენ: „სახიფათო თამაშებში ჩართვას“ მოეშვიო?

ესაუბრა ირინე გოგოსაშვილი

## რეფორმა – პერპეტუუმ მობილე

მას შემდეგ, რაც ქართული განათლების რეფორმა „დიდი წარმატებით“ ჩაატარა სანტეხნიკოსმა კახა ლომიაძემ (ეს ის ლომიაა, რომელმაც სკოლის ბავშვების თანდასწრებით ვერ დაწერა სწორად სასკოლო დაფაზე სიტყვა „ზავში“) და მის ნაცვლად დასწერა „ზაში“, ხოლო ნაციონალების საპირფარეოს მზრუნველმა ნოდარ გრიგალაშვილმა იმით გაამართლა ლომიაძის უმეცრება, რომ განაცხადა, ილია ჭავჭავაძე სწორედ ასე წერდაო, ოღონდაც არ დაუზუსტებია, საერთოდ თუ იცოდა ლომიაძი, თუ ვინ იყო ილია ჭავჭავაძე, დაინერგა ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა. სასკოლო საგნების ინტეგრირებაც მოხდა, თანაც ისე „წარმატებულად“, რომ ქართული გამოსორსებულ-გამორეფორმებული საჯარო სკოლების მოსწავლეების უმეტესობას ფიზიკა ქიმიისაგან ვერ გაურჩევია, ხოლოგია ბიოლოგიისაგან, გეოგრაფია კი ანგიოგრაფიისაგან... სწორედ „რეფორმამ“ გადაგვიყვანა (ან შეგვათრია) განათლების 12-წლიან სწავლებაზე (თუმცა, არამც თუ მეთორმეტე, არამედ მეოთხმეტეკლასელებიც კი, საკლასო ოთახში ოქროს ზოდი რომ შეუგდო, ცხვირს არ ჰყოფენ და სკოლაში მდებარე საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოებში, უფრო ხშირად კი ქუჩებში უქიშინებენ სივარტებს). ასე გვიმზადებენ მეძავეს ყოველგვარი წინასწარი მისამზადებელი კურსების გავლის გარეშე, და არა მხოლოდ მეძავეს – ტელეარხები ხშირად აჩვენებენ 14-15 წლის გოგონების ორთაბრძოლის ამსახველ კადრებს, რომელსაც ისინი შეყვარებული ბიჭების დასასაკუთრებლად მართავენ. არა და, ეს „გლადიატორი“ ამაზონები არც კი უფიქრდებიან იმას, რომ, სასკოლო აღზრდის მეთოდის წყალობით, თანატოლ გოგონაზე მოპოვებული გამარჯვების ჯილდოდ, შეიძლება ხელში შეჩრთო არა რომელიმე მხეჭაბუკი, არამედ ჩვეულებრივი ჰომოსექსუალი, რომელიც მათსავით სიამოვნებით ჩაუწყება ლოგინში ჩვეულებრივ „ნატურალ“ მამაკაცს.

ლუდით საცხე კათხით თქმული კახური სადღეგრძელოსი არ იყოს: „იმ ცოლ-ქმარს გაუმარჯოს, ერთად რომ წავან და ორივენი მამაკაცზე რომ ოცნებობენო!“

სკოლებში იმიტომაც ვერ შეიტყუებ

მოსწავლეებს, რომ საკლასო ოთახებში ცოვა (მერე რა, რომ ყველა სოფელს ბუნებრივი აირი მიეწოდება)...

საშუალო სკოლის ატესტატებსაც ხომ ჩაღის ფასი დაელო. მაგრამ ღმერთმა მოწყალე თვალთი გადმოგვხედა (უფრო სწორად, პრეზიდენტ სააკაშვილს გაახსენდა, რომ მის ატესტატს მართლაც ჩაღის ფასი ედო, რადგან ელემენტარული მისაღები გამოცდები ვერ ჩააბაა სამედიცინო ინსტიტუტში და ბუქსიმისის თხოვნის წყალობით „გაუჩალიჩა“ პროფესორმა ელიზბარ ჯაგელიძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის დახმარებით, ერთი „ლიმიტირებული“ ადგილი კიევის ინსტიტუტში), და სააკაშვილმა ინება, რომ სკოლებში ოქროსა და ვერცხლის მედლები აღედგინა. ამას მოჰყვა იმ ატესტატისადმი ძველი დირსების აღდგენის სურვილი, რამაც ვერაფერი სარგებლობა მოუტანა სხვა ბევრ „საკაშვილს“...

ისე, დიდი უცნაური ხალხი ვართ ქართველები – არც ნიჭიერი ხალხი გვავიწყდება, და ისიც კარგად ვიცი, თუ როგორ იმკვიდრებენ უნიჭოები ნიჭიერის სახელს...

მოკლედ, როგორც იტყვიან, ნახე გატყდა – თუ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში განათლების რეფორმის მიზანი ეროვნული გამოცდების დანერგვა და ატესტატის გაუფასურება იყო, როგორც ამბობენ, მიმავალ ხუთ წელს ატესტატისათვის ძველი დიდების დაბრუნებასა და ეროვნული გამოცდების გაუქმებას მოახმარს ძაღლისხმევის ჩვენი ხელისუფლება და, რაც მთავარია, ამ ორივე ურთიერთგამომრიცხავ ხუთწლედს განათლების წარმატებულ რეფორმად მონათლავენ.

ასე რომ, კინოფილმ „შერეკილების“ სიუჟეტისა არ იყოს, ჩვენს რეფორმებს ჩვენი შეილები გადაიბარებენ, იმათ რეფორმებს ჩვენი შეილისშვილები, მერე კიდევ ჩვენი შეილისშვილისშვილები და, ვიქნებით მარად ასე გამორეფორმირებული, თუ საერთოდ ვიქნებით...

რ. შალამბერიძე

## ყვავს რომ კაკალი გააგდებინო...

“ვაი, შენდა ქვეყანა, ბავშვი რომ გიზის მეფედ, და შენი დიდებულები დიდიდანვე რომ იწყებენ ჭამას!”

წარწერა წითელი ზღვის ფსკერზე აღმოჩენილი ქალაქების სოლომისა და გომორის სახელმწიფო დერბზე.

მაშინ, როცა ზოგს, თუნდაც საქართველოს პარლამენტის წევრს, „ვერესტყვალწაღებულ“ ბატონ ვია თორთლაძეს თვალთ ოკეანის გაღმა ისე უჭირავს, როგორც „მიმინოს მწყერზედა“, და თან „პატრიოტის აქტზე“ თვალდაუხუჭავად მუშაობს, ზოგიერთები (თუნდაც ქრისტიან-დემოკრატები) შედარებით უფრო პრაგმატული საკითხებით არიან დაკავებული. ამ უკანასკნელთა ინიციატივით, სახელმწიფომ ყველა შეჭირვებულ მოზარდს უნდა შეუძინოს სახელმძღვანელოები. უმცირესობის ამ მოთხოვნას განათლების მინისტრი უსიტყვოდ დათანხმებია (ვითომ ამას თავისით ვერ უნდა მიმხედარიყო?). პოდა, რაკი დაეთანხმა (მაგრამ თავად ვერ მიხვდა), მომავალ 2010 წელს სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტი დააფინანსებს 88.500 მოზარდისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნას (როგორც აგვისსნეს, ეს ის მოზარდები არიან, რომელთა ოჯახები უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ და მათი სარეიტინგო ქულები 57.000-ს არ აღემატება). ამას გარდა განათლების ყოფილ მინისტრ გვარამიასვე თქმით, საერთო ჯამში, ამ ჩვენს ქვეყანაში 190.000 მოზარდს არ გააჩნია წიგნის შექმნის ფინანსური საშუალება (როგორც ჩანს, მინიმუმ – თვეში 3.000-ლარიანი ხელფასის მქონე ჩინოვნიკებმა 190.000-ზე გაჭირვებულის დასაფინანსებლად ფული ვერ გამოიხსნეს, უფრო სწორად – ვერ გამოიმეტეს). შესაბამისად მათი საქმე ისეა, როგორც საქართველოში იტყვიან: ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც უადრესად სასარგებლო და საშური რამააო.

მეორე მხრივ კი, თუ 190.000 მოზარდისათვის გაჭირვებული მშობლები სახელმძღვანელოების შექმნას ვერ ახერხებენ, ეს ამადროულად იმასაც ნიშნავს, რომ მათ საკვებიც აკლიათ, ვერ თბობან და ვერც ჯეროვან განათლებას მიიღებენ და ამიტომ, მათ ბავშვობას ბედნიერს სრულდაც ვერ უწოდებ, როგორც ამას ქვეყნის ხელისუფალნი ამტკიცებენ. ამის გათვალისწინებით კი, აშკარაა, რომ მიცვალებულები ბევრად უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე ისინი, ვინც ჯერ არ გაჩენილან, მეტიც, არც არასოდეს დაიბადებიან, ყოველ შემთხვევაში, აქ, ჩვენს ბედკრულ საქართველოში...

ზურაბ ხორბალაძე

# დავრეხები ბერია — ქართული ბენია



## ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი როლანდ ჯალალანიანი

ახე რომ, თუ ამ ცნობას ვენდობთ, რომელსაც რატომღაც ნომერი არ გააჩნია, 1925 წელსაც კი „სამეუღლის“ მიერ დაიხვრია 4.490 კაცი, 1926 წელს კი 2.379 კაცი, მაშინ, როცა ე.წ. „სამეუღლი“ შეიქმნა მხოლოდ 1933 წელს...

ესე იგი, ოციან წლებში „სამეუღლები“ არ იყო. როგორც ჩანს, პოლკოვნიკმა პავლოვმა ეს არ იცოდა და ამიტომაც დაუშვა ეს ამაზრზენი სიყალბე.

იულიან სემიონოვის ბანალურმა (როგორც ეს დრომ გვიჩვენა) მოთხრობამ, რომლის მიხედვითაც გადაიდგეს მრავალსერიანი ფილმი საბჭოთა მხვერავ მაქსიმ მაქსიმოვს ძე შტირლიცზე, დაგვიტოვა ხატოვანი თქმა: „ინფორმაცია განსჯისათვის“. სწორედ ამ კუთხით ვთავაზობ მკითხველს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ 1924 წლის 1 თებერვალს რუსეთის ფედერაციის პროკურორმა ნიკოლოზ ვასილის ძე კრილენკომ რკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გაუგზავნა ბარათი № 308-ს, სადაც აღნიშნავდა:

„...გასული წლის ათი თვის განმავლობაში სახალხო სასამართლოების მიერ დახვრება მისჯილი აქვს 971 ადამიანი, ტრიბუნალების მიერ კი 296-ს. სულ 1267 ადამიანი. მათ შორის მარცვა ყაჩაღობისათვის მიესაჯა დახვრება 721 კაცს, ანუ საერთო რაოდენობის 59 პროცენტს. განაჩენი დამტკიცებულია 497 პირის მიმართ, რაც საერთო რაოდენობის 39 პროცენტს შეადგენს.“

ამ დროის განმავლობაში მთავარი პოლიტსამმართველოს მიერ გასამართლდა 121 კაცი, მათ შორის მარცვისა და ბანდიტიზმისათვის — 16 კაცი. იმ პირთა საერთო რაოდენობა, რომელთა მიმართაც განაჩენი მოვიდა სისრულეში, არის 604 ადამიანი, რაც დღემდე ორი ადამიანია. ეს არც ისე მცირე რიცხვია, მაგრამ განაჩენი ყველას მიმართ რომ მოეყვანათ სისრულეში, მაშინ დღემდე 4 ადამიანი დაიხვრებოდა სიკვდილით.

პოლკოვნიკ პავლოვის ჩანაწერების მიხედვით კი 1923 წელს მთავარი პოლიტსამმართველოს მიერ 1923 წელს დაიხვრია 414 ადამიანი, 1922 წელს — 1962 ადამიანი, 1924 წელს კი 2.550 ადამიანი.

როგორც ხედავთ, ციფრები არც აქ შემთხვევით არ არიან.

მაინც რა ციფრებთან გვაქვს საქმე 1937 წლის „დიდი ტერორის“ დროს? პავლოვის ჩანაწერების მიხედვით ყოველ დღე იღუპებოდა 967 ადამიანი, და ეს ციფრი რატომღაც დაადგინეს მხოლოდ „სტალინის სიკვდილისა“ და „ბერიას მხილების“ შემდეგ. მოდით, ამ ციფრების უნაზღვრებლად სხვა ვინმე გაერთოს, თორემ ამ წიგნს დასრულება არ უწყდება. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ციფრთა ჩემი შეფასება დააბეჭდებს მკითხველს „ოფიციალური“ ციფრების რეალობაში.

ეს ციფრები „ოფიციალურია“, მაგრამ ისინი შეთხზულია ხრუსჩოვის მმართველობის ეამს, ნიკიტა კი, როგორც მოგვსვენებათ, არც სატვირთო მანქანებით გახილული არქივების განადგურებას თავი იღობდა და არც სტალინის სახელის ლაფში ამოსვრას. იმასაც კი აბრალებდა,

თმი რომ დაიწყო, სტალინი კუნცევოში წავიდა სალოთაოდ და სხვა.

რაც შეეხება 1953 წლის ივნისის ანტიბერიალურ პლენუმს, აქ ბინძური ბრალდებების ისეთი კორიანტელი დააყენეს, რომ ადამიანი თუ ირწმუნებდი, მაინც ვერ დაიჯერებდი (ჩვენ კი დავიჯერებთ იმას, რაც დასაჯერებელია).

ის, რაც დაიწერა კალინინის ოლქში ჩატარებულ რეპრესიებზე, იყო აზრი „ქვემოდან“. ახლა კი გავერკვეთ, თუ რა ხდებოდა „ზემოთ“. ამაში რომ გავერკვეთ, აუცილებელია განვიხილოთ იმ დროის ზოგადპოლიტიკური ვითარება და სტალინისა და მისი ახლო გარემოცვის განწყობა.

მე უკვე აღვნიშნე, რომ 1937 და 1938 წლებში პარადელურად განვითარდა ორი მოვლენა: მასებში არსებული შესაძლო „მეხუთე კოლონის“ ლიკვიდაცია და ხელისუფლებაში მყოფი ანტისაბჭოთა ძალების მიერ შეთქმულების ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო საბჭოთა სისტემის განადგურება.

უფრო სწორად, სახეზე იყო ამ შეთქმულებათა რამდენიმე ფენა.

ამის პირობითი ანგარიში შეიძლება შევადგინოთ 1937 წლის ზამთრიდან, მაგრამ არა ისე, როგორც ამას აკეთებს ტვერელი პროფესორი სმირნოვი.

ორი სახელწოდების მქონე „თებერვალ-მარტის“ პლენუმის პარტიის ისტორიაში ყველაზე დიდ ხანს მუშაობდა. იგი 23 თებერვალს დაიწყო და 5 მარტს დამთავრდა. გადაწყვეტი ეტაპი კი 27 თებერვალი გახლდათ.

ამ დღეს, დღის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ა.ა. ჟდაროვი, რომლის სათაური იყო: „პარტიული ორგანიზაციების მომზადება სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ახალი საარჩევნო სისტემით ჩასატარებლად და პარტიული-პოლიტიკური საქმიანობის ამის შესაბამისობაში მოყვანა“.

ეს იყო პლენუმის მთავარი მოვლენა. 1936 წლის 5 დეკემბერს მიღებული იქნა ახალი კონსტიტუცია, ერთი წლის შემდეგ კი უნდა ჩატარებულიყო სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

პლენუმის მეორე მთავარი მოვლენა გახლდათ სადამის სხდომაზე ექვოსის მოხსენება ბუხარინისა და რიკოვის საქმის თაობაზე. ცოტა ადრე, 30 იანვარს დამთავრდა ე.წ. მოსკოვის მეორე პროცესი „პარალელური ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის“ საქმეზე, სადაც 17 ბრალდებულიდან 13-ს სიკვდილი მიესაჯა, მათ შორის პიატაკოვს, სერებრიაკოვს, მურალოვსა და რადეკს.

მოსკოვის პირველ პროცესზე გასამართლეს ზინოვიევი, კამენევი და „ტერორისტული ტროცკისტულ-ზინოვიეველთა ცენტრის“ 16 მონაწილე. ახლა კი საქმე ეხებოდა ბუხარინს და რიკოვს, რომელთაც შესაბამისი ჩვენებები მისცეს წინასწარ გამოძიებას.

ეუოვმა პლენუმს მოახსენა: „ამ ჩვენებათა სისწორის გადასამოწმებლად სკკპ პოლიტბიურომ მოაწყო ბუხარინის დაპირისპირება პიატაკოვთან, რადეკთან, სონნოვისკისთან, კულიკოვთან, ასტროვთან. ამ დაპირისპირებას ესწრებოდნენ ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, მიქოიანი და პოლიტბიუროს სხვა წევრები... პოლიტბიუროს წევრებმა რამდენჯერმე დაუსვეს შეკითხვა ყველა დაპატიმრებულ ტროცკისტს იმის თაობაზე, რომ ისინი უსაფუძვლოდ ხომ არ სდებდნენ ბრალს ბუხარინსა და რიკოვს, ან საკუთარ თავზე ხომ არ იღებდნენ სხვისი დანაშაულის სიმძიმეს... ყველა დაპატიმრებულმა დაადასტურა თავისი ჩვენების სისწორე...“

პლენუმის დარბაზში ბევრი ის პიროვნება იჯდა, ვისაც მალე თავად მოუწევდა გამოძიებისათვის ჩვენების მიცემა. ახლა

კი მათ არაფერი აღედეგებდათ... ყველაფერი, რაც აქ ხდებოდა — დაწყებული არჩევნებითა და პარტიულ-პოლიტიკური სამუშაოს გაუმჯობესებით და დამთავრებული ამ ტროცკისტთა ხმაურიანი პროცესებით, მათ უკვე წაკითხული ჰქონდათ გაზეთ „პრავდაში“. სიახლე მხოლოდ ის იყო, რომ სტალინს პარტიულ სფეროში შემოპქონდა საიდუმლო კენჭისყრა, რაც დემოკრატიისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო.

რეზოლუციაში ეწერა: „თუ ადრე საბჭოთა ხელისუფლების საშუალო და უმაღლესი ორგანოების არჩევნები ტარდებოდა სხვადასხვა საფეხურების გავლით, მომავალში იგი ჩატარდება პირდაპირი არჩევნების გზით...“

ადრე თუ არჩევნები ტარდებოდა სიის მიხედვით ღია კენჭისყრით, ახლა ჩატარდება ფარული კენჭისყრით, პერსონალურად.

სწორედ ამ საქმეში მაქსიმალურად უნდა გამოვლინდეს პარტიის ხელმძღვანელი როლი...“

რეზოლუციაში დასმული იყო შეკითხვა:

„...ზნად არიან კი პარტიული ორგანიზაციები ამ საქმის გასაძლიერებლად? შეიძლება კი ითქვას, რომ ისინი საბოლოოდ გადაეწყვენენ დემოკრატიულ რელსებზე?“

პარტიულ ორგანიზაციებს ამ შეკითხვებს ფაქტურად სტალინი უხვამდა. სწორედ მისი ინიციატივით დაავალა პლენუმმა პარტიულ ორგანიზაციებს:

— შეიცვალოს კოოპაციის პრაქტიკა (პარტიულ კომიტეტებში ხალხის არჩევნების გარეშე შეყვანა);

— პარტიული ორგანოების არჩევნები ჩატარდეს ფარული კენჭისყრით;

— პარტიული ორგანოების არჩევნები ჩატარდეს ქალაქებში არა უგვიანეს ერთი წლისა, ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში კი წელიწადნახევარში ერთხელ.

პარტიულ ბიუროკრატებს უხაროდათ, რომ დღეიდან პარტიის „კონსტიტუციით“ — წესდებით იმუშავებდნენ.

ახალი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა ფართოდ გაიშალა 1936 წელს. მაგრამ ჯერ კიდევ 1935 წლის 26 სექტემბერს სტალინი მოლოტოვს წერდა:

„გამარჯობა, ვიანქსლავ! კონსტიტუციის თაობაზე ვფიქრობ, რომ იგი არამც და არამც არ უნდა შეეუწყვათ პარტიულ პროგრამას. მასში უნდა ჩაიდოს მხოლოდ მიღწევა. ხოლო პროგრამაში ის — რასაც მივაღწევთ...“

ამ სიტყვებიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ სტალინი მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთსაგან სოციალისტური სახელმწიფოს როლსა და ამოცანებს და კომუნისტური პარტიის როლს სოციალისტურ სახელმწიფოში.

ჩემი წარმოდგენით, სტალინი დაახლოებით ამგვარად აზროვნებდა... სახელმწიფო უძღვება საზოგადოების რეალურ მიმდინარე ყოფას, პარტია კი, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდი, მიუძღვის ამ საზოგადოებას და აძლევს მას ორიენტირს. და თუ მიმდინარე ეტაპზე პარტია აკონტროლებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს, გახლავთ არა სტრატეგიული ხაზი, არამედ მომენტური გამომდინარე ტაქტიკური აუცილებლობა.

მომავალში კონტროლი მხოლოდ ზნეობრივი ასპექტით შემოიფარგლებოდა. ხოლო პარტიის ხელმძღვანელი როლი გახლდათ მისი წევრების მაღალი მორალური და საქმიანი თვისებებით აღზრდა. თუ ადამიანი იყო ნიჭიერი და ხალხის საქმის ერთგული, იგი პარტიაში მიდიოდა. და თუ იგი ნიჭიერი იყო, იზრდებოდა როგორც პროფესიონალი და იმდენად საკუთარ საზოგადოებრივ სტატუსს, ახე წარმოედგინა ყოველივე ეს სტალი-

ნის. პერსპექტივაში, რა თქმა უნდა, და არა კონსტიტუციის მიღებიდან მეორე დღეს. აქვე აღვნიშნავ, რომ წერილს სტალინი ამთავრებდა 1935 წლის სექტემბრისათვის ხორბლის შესყიდვის კონკრეტული გეგმით.

კონსტიტუციის გეგმის დამტკიცებამდე იგი წერდა:

„მე გამაჩნია ასეთი წინასწარი გეგმა. კონსტიტუცია დაახლოებით უნდა შედგებოდეს შეიდი განყოფილებისაგან: 1) საზოგადოებრივი მოწყობა (საბჭოების, სოციალისტური საკუთრების, სოციალისტური მეურნეობის და ა.შ. თაობაზე); 2) სახელმწიფოებრივი მოწყობა (მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკათა კავშირის, ერთა და რასების თანასწორუფლებიანობისა და სხვათა თაობაზე); 3) უმაღლესი ხელისუფლების ორგანოები (ცენტრალური ადმინისტრაციული კომიტეტი ან მისი შემცველი ორგანო, ორი პალატა, მათი უფლებები, სსრკ სახკომსაბჭო და სხვა); 4) მართვის ორგანოები (სახალხო კომისარიატები და სხვა); 5) სასამართლო ორგანოები; 6. მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი (სამოქალაქო თავისუფლება, კავშირებისა და საზოგადოებების თავისუფლება, ეკლესია და სხვა); 7) საარჩევნო სისტემა...“

ნიშანდობლივია სტალინის ჩამატება: „ფიქრობ, რომ აუცილებელია რეფერენდუმის ჩატარება.“

კონსტიტუციაში რეფერენდუმი შეიტანეს, მაგრამ იგი არასოდეს არ ჩატარებიათ, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სტალინს არ ეკებრა ხელთ აბსოლუტური ძალაუფლება.

სტალინის მისწრაფებას რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე ადასტურებს ისიც, რომ მას არ ეშინოდა ხელისუფლებისა და ხალხის ერთმანეთთან დაკავშირებისა, რაც შეეხებოდა პარტიულ-სახელმწიფო უმაღლეს ეშელონებს...“

აქ ყველაფერი არ იყო ერთმანიშნელოვნად.

დრო წინ მიიწევდა...

1936 წლის 1 მარტს სტალინი ინტერვიუ მისცა ამერიკული საგაზეთო გაერთიანება „სკრიპს-პოვარდ ნიუსპეიპერსის“ თაემჯდომარეს ჰოვარდს, რომელიც „პრავდაში“ გამოაქვეყნა 5 მარტს.

ჰოვარდი მრავალ თემას შეეხო, მაგრამ ჩვენ ერთ მათგანზე შევჩერდებით.

— თქვენ ამბობთ, — ეკითხება ჰოვარდი, — რომ საბჭოთა კავშირში კომუნისტური საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის აშენებული. აშენებულია სახელმწიფო სოციალისმი. იტალიის ფაშიზმი და გერმანიის ნაციონალ-სოციალისტები ამტკიცებენ, რომ მათ მიადწევს იგივე შედეგებს. ხომ არ წარმოადგენს ეს აღნიშნულ სახელმწიფოებში პიროვნების უფლებების შელახვასა და სხვა შეზღუდვებს სახელმწიფოს სასარგებლოდ?

სტალინი პასუხობს:

— გამოთქმა „სახელმწიფო სოციალიზმი“ არ არის ზუსტი. საზოგადოება, რომელიც ჩვენ ავაშენეთ, არ შეიძლება იწოდებოდეს „სახელმწიფო სოციალიზმად“. ჩვენი საბჭოთა საზოგადოება სოციალისტურია, იმიტომ, რომ კერძო საკუთრება ფაბრიკებზე, ქარხნებზე, მიწაზე, ბანკებზე... ჩვენს მიერ შეცვლილია სოციალისტური საკუთრებით. არც იტალიურ ფაშიზმს, არც გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმს“ ამგვარ საზოგადოებასთან საერთო არაფერი აქვს. უპირველესად იმიტომ, რომ იქ კერძო საკუთრება ხელუხლებლად დარჩა...“

54 წლის რიო ჰოვარდი იყო ყოველდღიური გაზეთის „New-York World, s Telegram and Sun“-ის გამომცემელი და მთავარი რედაქტორი და მასვე ეკუთვნოდა სააგენტო „United Press“-ის აქციების მეტი წილი.

# სამედიკალინო კონფერენცია მიკრობიოლოგიის ფასობის დისკოს ამოკითხვასთან დაკავშირებით

მიმდინარე წლის 10 ნოემბერს თბილისის კინოს სახლში გაიმართა სამედიკალინო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა კოლხური ოქროსა და მისი მონათესავე დამწვრლობების ამოკითხვის შესახებ უმთავრეს საკითხებს.

კონფერენცია ორგანიზებული იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნა,ლოგია და მეტეორეოლოგია“ ცენტრის მიერ, რომელსაც უძღვეოდა ამავე ცენტრის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნანი ჭანიშვილი. პრაქტიკული საკითხების მომგვარებელი გახლდნენ „იბერიაჯგუფის“ წარმომადგენლები: მამუკა მდინარაძე, ალექსანდრე დავითაშვილი და გიორგი ასათიანი.

სამედიკალინო კონფერენციის წინასწარ შედგენილ პროგრამაში დაფიქსირებული იქნა მისი მონათესავე მონათესავე ფენაში მითლი.

მთავარი მოხსენება „კოლხური ოქროს დამწვრლობის ნიმუშის – ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწვრლობების ამოკითხვის შესახებ“ გააკეთა პროფესორმა გია კვაშილაძემ. ეს გახლდათ მისი პირველი საჯარო მოხსენება, გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობის შემდეგ, სადაც მას უთუოდ დიდი წარმატება ხელა წილდა. ამას ამ პუბლიკაციაში ხაზგასმით იმიტომ ვწერ, რომ მისი მონაწილეობით ლონდონის კონფერენციაზე ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემა მოგვარდა. პირველი და მთავარი ის გახლდათ, რომ ქართველმა, თითქმის უცნობმა ახალგაზრდა მეკვლევარმა კონფერენციაზე მოულოდნელად, მსოფლიო სტანდარტების დონის მოხსენებით, ფესტოსის დისკოს სრულყოფილი დემონსტრაცია ამცნო მსოფლიოს. მოხსენებას რეალური არგუმენტებით, ისეთი დონის ინტერპრეტაცია ჰქონდა, რომ ამ დარგის მეცნიერთა ახი წლის უფრო მეტი ხნის ასროვნების შეუძლებელი გაარდნა და ახალი დამატებითი გზა გაუხსნა ურთულე-

სი პრობლემის გამოკვლევის ხიფათიან გზაზე.

გია კვაშილაძემ თამამად და ცალსახად დაარწმუნა კონფერენციის მონაწილე, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები იმაში, რომ A-ხაზოვანი და მისი მონათესავე დამწვრლობების წარმატებული გამოკვლევები ტრადიციული მეთოდებით მუშაობის შედეგია. მან სარწმუნო წყაროების დამოწმებით, კონფერენციის მონაწილეებს შეახსენა, რომ არსებობს უტყუარი მეცნიერული შრომები სხვადასხვა ქვეყნისა და დროის მეკვლევარებისა, რომლებიც გამოთქვამდნენ და ამკამდაც ამტკიცებენ, რომ უძველესი დამწვრლობების გასაწმენდად სხვა, ე.წ. დაკანონებული ენებთან ერთად გამოიყენონ კავკასიური, კერძოდ, ქართველური ენები. ამის მკაფიო მაგალითი იყო „ფესტოსის დისკოს“ გაშიფვრა ძველქართულ-კოლხურ ენაზე. ამით გია კვაშილაძემ საუკუნის მოუგვარებელი, და ამავე დროს ბუკვითი სიტყვის ისტორიაში, ზოგადკაცობრიული პრობლემა გადაჭრა.

მეორე და მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ ის, რომ გია კვაშილაძეს პირველად მიეცა საშუალება ლონდონის კონფერენციაზე პირადად გაცნობოდა თავის ცნობილ კოლეგებს, სახელგანთქმულ მეცნიერებს და მათ ფუნდამენტალურ გამოკვლევებს. ამით მნიშვნელოვანწილად გაფართოვდა ახალგაზრდა მეკვლევარის აზრობრივი პორიზონტი და იგი განვითარების თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა.

სწორედ ლონდონის კონფერენციაზე მიღებული გამოცდილების კვალი აჩნდა ათ ნომბერს მის მიერ გაკეთებულ მოხსენებას – ყოველი ნახატ-ნიშნის მნიშვნელობის ახსნა-განმარტება გამდიდრებული იყო უახლოესი არგუმენტებით. ასევე, გია კვაშილაძეს მიერ ფესტოსის დისკოს მონათესავე დამწვრლობების ამოკითხვა მდლად პროფესიულ დონეზე იყო შესრულებული, რამაც სპეციალისტთა და მოყვარულთა კმაყოფილება გააძლიერა.

რიგით მეორე მომხსენებელი გახლდათ ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის ზემოხსენებული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნანა შენგელაია. ქალბატონი ნ. შენგელაია თან ახლდა გია კვაშილაძეს ლონდონში, ამიტომ, მისი მოხსენება ერთგვარი შემაჯამებელი გამოსვლა იყო თბილისის კონფერენციაზე.

– ლონდონის კონფერენციაზე, – აღნიშნა ნ. შენგელაიამ, – გია კვაშილაძემ სპეციალისტებს დაუსაბუთა, რომ ის ერთადერთი მეკვლევარია, რომელმაც სრულყოფილად ამოკითხა ფესტოსის დისკო და მისი მონათესავე დამწვრლობები.

შემდეგი მოხსენება, რომელიც ისტორიკოსმა ნინელი ბერულავამ გააკეთა, იყო – „ფესტოსის დისკო ქართველური ცივილიზაციის სათავეებთან“. მან კონკრეტული ისტორიული წყაროების მოშველიებით, ერთხელ კიდევ დაასაბუთა ქართველური ტომების ისტორიული როლი მსოფლიო ცივილიზაციის შექმნაში.

თემაზე „ძველი გერმანიული დამწვრლობის – რუნების წარმომავლობა“, მოხსენება გააკეთა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დალი ბახტაძემ.

მან ერთგვარი პარალელი გაავლო ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნებსა და ძველ გერმანიულ დამწვრლობას-რუნების წარმომავლობას შორის, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია და, ამასთან დაკავშირებით, მსმენელებს უამრავი შეკითხვა გაუჩნდა.

საინტერესო იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიზო ჭელიძის გამოსვლა მოხსენებით – „ფესტოსის დისკო – ქართველოლოგიის უმნიშვნელოვანესი ძეგლი“. გიზო ჭელიძე ის მეცნიერი გახლდათ, რომელმაც გია კვაშილაძეს გამოკვლევების გაცნობისთანავე გვერდში ამოუდგა მას და რამდენიმე მეცნიერული შრომაც მიუძღვნა. მაგალითად, ასეთია „ქართული ლექსი (საგალობელი) 4.000 წლის განსახლებიდან“. გ. ჭელიძის დრმა რწმენით „გია კვაშილაძეს გამოკვლევების საფუძველზე მსოფლიო მეცნიერებაში უნდა

დამკვიდრდეს აზრი, რომ პიქტოგრაფიული დამწვრლობის აკენად მიჩნეულ იქნას არა მხოლოდ გვიპტე, შუმერი და ჩინეთი, არამედ საქართველოც...“

ბოლოს მოხსენება „ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100-წლისთავისადმი მიძღვნილი ლონდონის საერთაშორისო კონფერენცია და ქართული მეცნიერების წარმატება“ გააკეთა ამ პუბლიკაციის ავტორმა – სიმონ ზაქარაიამ. მოხსენებაში ხაზი გაესვა ქართული მეცნიერების როლს ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე. გია კვაშილაძეს წარმატებულ გამოკვლევებს საფუძველად უდევს ქართველი მეცნიერების მიერ გამოკვლევებული, უნდა ითქვას, მიუკერძოებელი ისტორიული წყაროები, რომელთა დრმა რწმენით არსებობს პრეისტორიული ცივილიზაციის შემქმნელებსა და დღევანდელ ქართველურ ენებს შორის გენეტიკური კავშირი. მათ შორისაა – ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, პავლე ინგოროვია, ექვთიმე თაყაიშვილი, სიმონ ფაუნჩიშვილი, იოსებ ყიფშიძე, აკაკი ურუშაძე, თამაზ გამყრელიძე, რისმაგ გორდენიანი, ზვიად გამსახურდია და სხვები.

თბილისში გამართულ კონფერენციას ესწრებოდნენ უცხოეთში მოღვაწე ის ქართველები, რომლებმაც სამშობლოში ჩამოსვლა დაუკავშირეს 10 ნომბრის ღონისძიებას. ეს ის თანამემამულეებია, რომლებმაც ფინანსური დახმარება გაუწიეს გია კვაშილაძეს ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე გასამგზავრებლად. ესენია – დიდი ბრიტანეთიდან ლუკა ჩაჩიბაია, აშშ-დან (ფლორიდას შტატი) ჯუმბერ ჯიშკარიანი, ასევე, ამაჰმად ფენიქსის შტატში მცხოვრები სოხუმელი ემილ დიხამინჯია.

ბატონმა გია კვაშილაძემ უდრმესი მადლობა გადაუხადა მათ ესოდენ დიდი მორალური და ფინანსური დახმარებისათვის.

სიმონ ზაქარაია, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

# დებურტირი №5, ანუ ბეგრანდისანი ყბედები

ამ წერილში მოვითხრობთ იმ ბეგრანდისანი ძეგლებზე, რომელთაც ერთი მიზანს ემუქრებოდა „მოვლიერო“, მერე ამ საკუთარ ღვინოსავით თუ მურაბასავით მუქარის რეალიზებას შეუდგა და „მოვედით, მოვედითო!“ შესძახა გინების აკომპანიმენტით.

მოკლედ, ბიჭები ვართ და მოვლიერო, ბიჭები ხართ და დავებედითო. მიშამაც, მობობანდითო, კვლით გაშლილი ხელითო. ხელებს, იცოცხლეთ, ისე შლის, მარჯვენით ნიკოფსიას მისწვდება, მარცხენით – დარუბანდს.

და მივიდა; ერთხელ, მეორედ, მესამედ... მანამდე კი იყო მიზანს გადადგომა და პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები, სააკაშვილ-გაჩეჩილაძის დუელი და თბილისის „ლუბიშიის“ ძალიან არათბილისური საქციელი.

ფაქტს მოგახსენებთ და დასკვნა თქვენ გამოიტანეთ. 2008 წლის იანვარი. პრეზიდენტის ინაუგურაცია ჯერ გა გამართულა და მეორე ტურის დანიშნულად არ გამოირიცხავენ. სამების ტაძარში გვერდოვერდ დგანან თბილისელების „ბატონი პრეზიდენტი“ განეჩილაძე მუდლითურთ და ზვიად ძიძიგური (ალბათ, „პირველი ვეზირის“ უფლებით!). შემოდის ნაციონალების „ბატონი პრეზიდენტი“ სააკაშვილი. ძიძიგური ჩვეულებრივად ართმევს ხელს. განეჩილაძე წელში მოხრილი მდაბლად თავს ხრის და ისე ესალმება „ძალაუფლების უზურპატორს“. ეს ყველაფერი ასიათასობით თანამოქალაქისავით ჩემი თვალით ვნახე ტელევიზორზე.

თქვენი არ ვიცი და, ჩემთვის მეორე ტურის გამართვის ალბათობა მაშინ გაქრა.

შესადლოა, „ერეჩიხამ“ არ იცის, პოლიტიკური პროტოკოლით როგორ ესალმებიან ერთმანეთს თანასწორნი, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან მოუხდა ქვეშევრდომის ამღლუა.

იმ დღეს ღვეან განეჩილაძემ ქრისტიაწული თავმდაბლობა კი არ ჩანდა, მოწიწე-

ბას ახსივებდა მისი თვალები.

ალბათ, ამიტომ შეეღახა „ბეგრანდი“. მისგან ყველა უკომპრომისო ბრძოლას ელოდა და, როცა „ვერ აასრულა, რასაც დაგვირდა“ და, მიუხედავად ამისა, „მანაც მოვიდა ჩვენთან“, ხალხს შეკითხვები გაუჩნდა. ზოგიერთი არც იმის თქმას მოერიდა, ამ ძეგლს პოლიტიკური ბიზნესი ხომ არ აქვთო, – გამოიყვანენ ხალხს ორი თვით, ავირებენ, აკივლებენ, აშიშმობლებენ და მერე შეუძახებენ „ოზურგეთო“.

ეს ჭორები განსაკუთრებით აღიზიანებს „უცნობ“ განეჩილაძეს. „ბეგრანდი“ ამისი უნდა იკითხოთ! 2003 წლის ნოემბერში, როცა ქართული ესტრადის მეფეები, დედოფლები, კუდიანი ვარსკვლავები თუ უკულო ამპარტავნები ეჭვით უყურებდნენ დემოკრატის მესანთლეებს (მერე შეუქურად რომ აბრდღვალდნენ). „უცნობი“ ყველას (გაგიკორდებთ და) ემოციურად უმტკიცებდა, მიშას თუ არ იცნობთ, მე ხომ მიცნობთ, მე დამოუკერეთ და გვერდში დავუდგები. პირადად არ მომიხმენია ეს ფიცი-მტკიცე, შოუ-ბიზნესის დედად (კაცმა არ იცის, ვისგან) აღიარებულმა მარინე ბერიძემ „ჩაუშვა“: – ახლაც იგივეს ამბობს და, თუ მაშინ შეცდა, ახლა რატომ დავუჯერებოთ?!

არ დაუჯერებთ და №5 საკანის ტელევიზორი და იქიდან დებურტირებული თუ დებურტირებული თქვენც ისევე შეგამკობთ, როგორც სააკაშვილს. ჟურნალისტ ნინო სამხარაძის შეკითხვაზე – „უცნობ, სპონტანურად მიპასუხეთ, რას გეტყვით სააკაშვილს?“ – უპასუხეს: „შეგ ხომ არა გაქვს, მიშა? მოგეწონათ პასუხი?“

უცნობს კი „რა“ „სად“ ჰქონია, ყველამ შევიტყვეთ – „ნაწლავზე მქონდა პოლიპები და ამომავტრეს“. ჩეხეთში გაუკეთეს ოპერაცია; აქაურ ექიმებს ხელისუფლება არ ენდობა (ერთი დავით ბაქრაძე ენდო და იმასაც კი ნაღამ ტური მოუწყვეს საიქიშო!) და განა „XXI საუკუნის ილია“ არ იმსახურებდა გან-

საკუთრებულ მზრუნველობას?

ილიას კი არ ვაღარებ, თვითონ ამბობს, ახლაც „ზუსტად იგივე სიტუაციაა, როგორც ჭავჭავაძეს აქილიკებდნენ და უნამუსოდ სერიდნენ ლაფში“.

კმ, კაცს თავი გადადებული აქვს და „თუ ჩემი სიკვდილი სჯობდა, არ ვიცი...“

სამაგიეროდ, მიშამ იცის, რა სჯობდა! ამიტომაც ინაუგურაციის წინ ნაცნობის კვლობაზე „უცნობსაც“ შეხვდა. ვნახით, როგორ ხსნის ამ შეხვედრის აუცილებლობას თვითონ გია განეჩილაძე:

„საკაშვილთან მივედი და ვუთხარი: სანამ საქართველოში არ იქნება ტელევიზია, რომელიც დაფარავს მთელ საქართველოს და იტყვის ნამდვილ სიტყვას... დირსეული პრეზიდენტი, მინდა, ჰყავდეს ქვეყანას, სხვა არაფერი-მეთქი; და იმდენად შეშინებული იყო, ინაუგურაცია რომ ჩატარებულიყო, დამთანხმდა, აუცილებლად იქნებოდა და ისე გადამბადო, როგორც ყველა...“

ახლა მიხვდით, იპოდრომზე შეერკიდნო, როცა თბილისში ყინვა „მეფურად დაბრძანდებოდა“ და სააკაშვილი „სამეფო გვირგვინს“ უკვე მეორედ იდგამდა, რუსთაველის პროსპექტისკენ დაძვრის ნაცვლად, რატომ გაგისტუმრეს სახლებში?

ხალხს 26 მაისს სტილიონზე შეერკიდის დროსაც „მოუგრიხეს მწარედ კისერი“. მაშინ სიტყვით გამოსულმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ საქმე იმ დღესვე უნდა დაემთავრებინათ: „დრო აღარ ითმენს. მე ვიცი ერთი ახალგაზრდა, რომელსაც აქვს გზა და ამ გზას ჩვენ უკან უნდა დავაბრუნოთ“; შემდეგ განმარტდა, რომ ამ ახალგაზრდაში „უცნობს“ გულისხმობდა.

„ამ ახალგაზრდამ“ კი, რაკი აღარ იცოდა, რა ეთქვა 100 ათასი ადამიანისთვის, ხალხს სამებისკენ წასახველად მოუწვია. შემდეგ ეს პროვოკაციად და მინტაჟად შევანდა. აღმოვთვბას ვერც სალომე ზურაბიშვილი მაგალითად, ცალკეულმა პიროვნე-

ბებმა ყველაფერი გააფუჭეს, ოპოზიციას სხვა გეგმა ჰქონდა, რაც „დინამოდან“ სამებისკენ დაძვრას არ ითვალისწინებდა.

ასე იცის თავდაჯერებულობამ. როცა იმდენიც არ იცი, რომ შოუ პოლიტიკის მხოლოდ მცირე ელემენტია და მიშას ამ საქმეშიც ვერ აჯობებ, შეგიძლია, ანბანი გარეშო და შეუსრულებული დაპირებებით ხალხს ტყინი არ გაუღაყო. მით უფრო, ამ მხრივ ბადალი არ ჰყავს სააკაშვილს. თუ ჩემი არ გვეჭრა, მაშინ ის გაისხენე, რა გითხრა ღვეანმა 12 მაისს, როცა მიშასთან (ნასტუმრალი) პირდაპირ „საკანში“ მივიდა:

„მას აქვს ასეთი თვისება და შენც იცი და მეც ვიცი, მარტო რომ ზის და ორი კაცი უზის, მაინც შოუშია, ათი კაციც რომ ზის, შოუშია, ათას კაციც შოუშია და ტელევიზორშიც შოუშია, მიტინგზეც შოუშია, ადამიანი ცხოვრობს პროპაგანდისტულ-პიაზურ რეალობაში. ერთადერთი, როდესაც ის უფრო ნაკლებ შოუშია, ვიდრე დიდ შოუშია, ალბათ, ერთ-ერთზე შეხვედრის დროს. ჩემი გამოცდილებიდან ვიბახი...“

ბიჯო, ბოდიში, ძმაო, ვინმემ კი არა, შენმა ძმამ, ერთხელ რომ საჯაროდ დაგიფიცა, ერთ წინადადებაში შეიძლება გითხრა, მიშა „შოუშიაო“ და რით ვერ გაიგე, რომ შენზე უკეთესი შოუმენია და ვერ აჯობებ!

აღარ მინდა ბეგრანდისანი ძეგლ განეჩილაძეების პოლიტიკურ ბიზნესზე აქცენტის გაკეთება. არ მჯერა, რომ მიშა ამით რამეს მისცემდა. მეტი საქმე არ აქვს, ისედაც 5:0 დაამარცხა. სამწუხაროა, რომ ამ „გაზაფხულმა თბილისში“ რამდენიმე ათეული ადამიანი „გისოსებს მიღმა საქართველოში“ გაისტუმრა, ნაცნობი და „უცნობი“ კი ხან იმსახურებენ, ხან შერიგდებიან, ეს სხვისი საქმე არ არის. ხომ გაგიგიათ, ძმამ ძმას ანგარიში უყო, ისევე ძეგლად დარჩნენ.

P.S. ახლახან გახდა ცნობილი, რომ დაიხურა ტელეპროექტი საკანი №5.

ბონდო მდინარაშვილი

# ჩვენთვის ვითარების ასარეგად „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ფრთის ქვეშ ბერეზოვსკის ტელევიზია იხსნება

ქართული მასშედი რამდენიმე თვის წინათ პანკისის ხეობაში აგრესიულად მომრავლებულ ვაჭარბატონების თემს შეეხო და შეშფოთება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება, ტრადიციული ისლამის სახელმწიფოთა მიმდევრებისგან განსხვავებით „ყურსაც არ აბარტყუნებს“ მსოფლიოს „ახალი ჭირისგან“ თავის დასაცავად და პირიქით, ვაჭარბატონების ფინანსურად მოძლიერების კუთხით პანკისის ხეობაში არსებულ ხეტის გადამამაუწყებელ თუ სხვა კერძო საწარმოებში მხოლოდ მათთან იჭერს საქმეს და არცთუ უანგაროდ!

მასშედი იუწყებოდა იმასაც, რომ აგრესიული, არატრადიციული ისლამის ახალ „მკურნალებს“ ისეთი მუსლიმანური ქვეყნები, როგორცაა: აზერბაიჯანი, თურქეთი, ჩინეთი, ირანი და ა.შ. გამაღებელი ებრძვიან, რადგან ისლამის ამ ახალი სექტისთვის ტერორიზმი, ჯიჰადი, სიძულვილი მთელი სამყაროსადმი არახალია და რომ სწორედ ვაჭარბატონების „საქმენი საგმირის“ ჩამონათვალშია მუკამედის ქალიშვილის ფატიმას საფლავის შეურაცხყოფა და დარბევა!

ვაჭარბატონი არიან ყველგან, სადაც კი ნავთობია, ანუ არიან იქ, სადაც პოლიტიკა „ნათით“ იჭერება! ჩვენი ქვეყანაში კი ისინი ჩვენთვის პირველი ომის დროს გამოჩნდნენ, კერძოდ, პანკისის ხეობაში. არაბი, იორდანიელი, ერაყელი და, წარმოიდგინეთ, აფრიკელი ვაჭარბატონი არსებობას და მათ უპრობლემოდ გადაადგილებასაც კი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ქართველი და რუსეთის სპეცრაზმსახურების სამართალდამცველები უზრუნველყოფდნენ!!! პანკისელი უხუცესები დღესაც ვერ მალავენ აღშფოთებას იმ ფაქტის გამო, რომ მათი საცხოვრისი ტერორისტებსა და ნარკოტიკებთან ასოცირებულ დღემდე და წუხან იმ ვიზიტებზეც, სულ ახლახან რომ მოაწვეს „ქრისტიან-დემოკრატებმა“ უცხოელი დიპლომატების თანხლებით!

„ეს ამოსვლა შემთხვევით არ ყოფილა, რადგან უეჭველად მოხდება, ამას ყველა პანკისელი ვგრძნობთ და წინასწარ მინდა, გითხრათ, რომ, როგორც ადრე, ადგილობრივი მოსახლეობა დაზარალდება! მოგვიკლავენ შვილებს, ავავიფოტებენ სახლებს, კიდევ ერთხელ დაგვიწიოკებენ ოჯახებს! ხმამაღლა ვაცხადებ, რომ მაშინაც და დღესაც ამ „საქმის“ ორგანიზატორები, შემსრულებლები და დამკვეთები რუსი და ქართველი სამართალდამცველები იქნებიან!“ – აღელვებული მიყვირის ტელეფონში ქისტი მონსუცი მეგობარი, რომლის სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვახსიანებ, რადგან შესაძლოა, საკუთარ სახლში, გნებავთ, ეზოში ან ტუალეტში ტროტილის პატარა ნატეხი უსახსოვრონ სიმართლის თქმის სანაცვლოდ!

ისე მაინც რამ ააფორიაქა ეს „ქრისტიან-დემოკრატები“? ტერორისტები და მკვლელები პანკისში რომ არ ექებნათ, გვერდით ვერ გაიხედეს დალოცვილებმა, გნებავთ, პარლამენტში და, გნებავთ, ხელისუფლების მაღალ იერარქიებში? „განოს ბიჭებმა“ რომ ტერორისტული აქტები იციან, ისეთი უნდა, და მერე რომ აფხაზებს, ოსებს, რუსებს გადააბრალებენ ხოლმე, დაავიწყდათ?

ყველას გვახსოვს, ახლახან დასავლეთ საქართველოში რკინიგზაზე მომხდარი აფეთქება, როცა ნავთობით დატვირთული მრავალი ვაგონი რელსებიდან აფეთქების ტალღამ გადააგდო და აააააა.

რუსული საინფორმაციო გამოშვებები რომ „ხალასტო“ სიუჟეტების გაშუქებაზე არ ცდებიან, ეხეც ცნობილია, მაგრამ ახლო მომავალში ბერეზოვსკის ახალი ტელევიზია რომ გაიხსნება თბილისში, ამაზე ქართული და რუსული არხები რატომ დუმან, ეხეც ხომ საინტერესოა?

კოსტავას ქუჩაზე „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ და გამგეობას შორის ახალი „შუშებიანი“ ნაგებობა რომ ააშენეს, სწორედ იქ დაიდებს ბინას „რუსეთის ხელისუფლების მხრიდან შე-

ვიწროებული, განდევნილი“ მედიამანატი – ბორია ბერეზოვსკის ტელევიზია, რომლის დირექტორიც, არც მეტი, არც ნაკლები, „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსის, გადაცემა „პოზიციის“ წამყვან ნინო შუბლაძის მეუღლე ალექო ფარულავა იქნება! ეს ის ალექო ფარულავაა, რომელმაც ხანგრძლივად იმოგზაურა ყველა სამთავრობო არსზე (სხვადასხვა მიმართულებით), ხოლო სულ რამდენიმე დღის წინათ კი ტელეკომპანია „იმედიდან“ (ბადრის და ბორის ბერეზოვსკის ტელევიზიიდან) ახალ ტელევიზიაში გადაბარდა და როგორც მოსალოდნელი იქნება, ზედმიწევნით შეასრულებს იმ მითითებულ დირექტივებს, რასაც ბორის აბრამოვიჩი და მიხეილ ნიკოლაევიჩი უბრძანებენ!

მკითხველს ვამახსოვრებ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ „ვირტუალური შემოფოტება“ თვით მსოფლიო დონის ნომერ პირველმა ვაჭარბატონმა, ტერორისტად დაბადებულმა უსამა-ბენ ლადენმაც გამოთქვა ჩვენთან შექმნილი „არა-ჯანსაღი“ ვითარების გამო! ალბათ, გონიერი მაყურებელი ქვეტექსტებს შორის იმ „თანაგრძობასაც“ ამოიკითხავდა, ბენ ლადენის ტერიტორიულ ინტონაციაში რომ უდრდა – ჩვენ ქართველებს გაჭირვებაში არ მივატოვებთ და ჩვენი განუსაზღვრელი შესაძლებლობებით უეჭველად დავეხმარებით!

ვაჭარბატონის მოტრფიალეთა და ქართველ პატიმრებს შორის კი პირველი „ჯგეროსნული შეტაკება“ უკვე მოხდა, თანაც, ალაპის სახელით! კერძოდ, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, სადაც მძინარე ქართველები ავღანელებს მორწმუნეებმა რკინისა და ხის „დრინებით“ დაჩეხეს, მაშინვე მოექცა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში, მაგრამ ქართულმა არხებმა „შემოქმედებით“ პაშუზა დაიკავეს და რამდენიმე დღე და ამ შემზარავ ფაქტს წააყრდნობენ.

ხეაღ-ზეგ ავღანეთში „საზარბაზნე ხორცის“ კიდევ ერთი ასეული გაემგზავრება საქართველოდან და თუკი ერაყში გურჯებს პატივით ეკურობიან პატრიოტი ერაყელები, როგორც მოსალოდნელია, ავღანეთში ეს კეთილგანწყობა აღარ ექნებათ ჩვენი ჯარისკაცების მიმართ, რადგან საქართველოს დღევანდელი ნომერ პირველი ტერორისტი ხელისუფლება, სხვა დანარჩენი ევროპელი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, არათუ საკუთარი სამხედრო კონტინგენტის გამოყვანას არ აპირებს ავღანეთიდან, არამედ პირიქით, ვახიანს ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ ჩატარებული წვრთნებითაც იწონებს თავს და ყველა საინფორმაციო საშუალებებით გვეუბნება, რომ კიდევ 300 ჯარისკაცს გაუგზავნიან თალიბებს ავღანეთში დემოკრატიის ასაღორძინებლად და მსოფლიო ცივილიზაციის ქვეყნების ჩამონათვალში მათ შესაყვანად!!!

ავღანეთი ავღანეთად იყოს და... ჩვენი ჩვენი საქართველო ვიტყვით ამ ლაგამამოუდებელი შლეგის ხელში, რომელსაც არც მათრახი შეეღის და არც ცხვირით მიწის თხრა!

ადრე რომ გაჰყვიროდა – ბერეზოვსკი შეგარდნადესთან დაძვრება და „ჩემი სამშობლოს“ წინააღმდეგ რადიკალ-რადიკებს მასთან ერთად გვებრუნებ – გაცხლოვთ? აი, ახლა გამოვიდეს თავის ტრიბუნაზე და აგვისხნას, თბილისის ცენტრში, საქართველოს უპირველესი ტელევიზიის გვერდით, რა უნდა მისგან შერისხული ბერეზოვსკის ტელევიზიის და ბარემ იმაშიც გაგვარკვეოს, რამდენიმე კვირის წინათ, შუაღამისას, პირდაღად მასთან საიდან ჩამოფრინდა აბრამის ძე და რაზე ისაუბრეს?

ინფორმაციას ახალი „ქართული“ ტელევიზიის შესახებ ადრეც ვფლობდით, მაგრამ ინფორმაციის დადასტურებას პირველწყაროსთან, ანუ ბერეზოვსკისთან ვერ ვახერხებდით, რადგან ბორის აბრამოვიჩი, მიუხედავად ჩვენთან არაერთი ინტერვიუსი, ამჯერად კომენ-

ტარისაგან თავს მარტივი მიზეზით არიდებდა: „извините, ребята, я сейчас в банке и не могу дать никакое объяснение на Ваши вопросы!“ არადა, ადრე „იმედთან“ და პატარკაციშვილების ოჯახთან დავაზე კომენტარებს დიდი სიხარულით აკეთებდა და აქეთ გვეკითხებოდა: „Вопросы еще есть? Пожалуйста, я готов ответить на любиме Ваши вопросы!“

მოკლედ, რაც კონფიდენციალური წყაროებით შევიტყვეთ ახალ ტელევიზიისთან დაკავშირებით, არის ის, რომ ჩვენზე ერის დიდი „დამცველი“, მსოფლიოში სკანდალური ბიზნესმენის სახელი ცნობილი, რუსეთის ხელისუფლებისგან პატივმიცემული, „ოერტესა“ და „ენტევეს“ აქციათა მფლობელების, უკრაინისა და საქართველოს „ფერადი რეგულაციების“ დამფინანსებელი (საქართველოში „ჩერეზ“ ბადრი აფინანსება უფრო ვარდების მოსვლას ხელისუფლებაში) ამჟამად კი ე.წ. დენილი ბიზნესმენი, ბრიტანეთის და არა მხოლოდ ამ ქვეყნის მოქალაქე ბერეზოვსკი თბილისში ახალი ტელევიზიის გახსნას სწორედ ჩვენთვისა და ინტელექტუალური რესურსების რუსეთთან ახალი დაპირისპირების და, შესაძლოა, ახალი ომის დაწყების წინ ხსნის, საიდანაც „ცხელ-ცხელ“ „მიუკერძოებელ“ და „ნადიდ“ ინფორმაციების ულუმ ნაკადს გადმოაფრქვევს ჩვენი თუ ჩამოყვანილი ჟურნალისტების მეშვეობით, რომელთაც „ბორისა კაშელიოკიდან“ მწვანე დოკუმენტები და განიერ-განიერი სტაფილოსფერი ევროები არ მოაკლდებათ! ისე, ფუნტ-სტერლინგებსაც არა უშავს რა, კუვეიტურ დინარებს და დოლარებსაც თუ არ ჩავოვლით, რომელიც, ასევე, უხვად ექნება „ბორუსისა“!

არა, კაცო! ეს „ქრისტიან-დემოკრატები“ რაღა შუაში იყვნენ, მა? ესენიც იმბრომ, რომ ყველა „იმედელია“ და ყველამ იცის ბორის აბრამოვიჩის „დირეკტი“, იმისი დავალებით („ჩერეზ მიშა“) ხომ არ ალაგდნენ პანკისის ხეობაში და დუხის ვაჭარბატონის მიერ აშენებული მეჩეთის ფონზე იმბრომ ხომ არ იგეგმულა – „აქ ჩვენნი დემოკრატების ჯარს ჯერ არ ჩამოუვლია და რუსეთის ხელისუფლებას ეს ყველაფერი ეისზმრებაო“?

**ირინე გოგოსაშვილი**  
P.S. ერთხელ ბორის ბერეზოვსკიმ ინტერვიუში მითხრა: სამწუხაროდ, ჩემი მეგობრის, ბადრის მეუღლე ინა გუდავაძემ უკადრებელი იკადრა და „Не лучшим образом показала себя“!

ძალიან მაინტერესებს ერთი რამ: ბატონო ბორია! ამ ჩეკისტური ტელევიზიის გახსნით თქვენ საყვარელ საქართველოსა და ქართველ ხალხს „საუკეთესო სახით“ წარმოუდგებით? იმავე ინტერვიუში რომ მეუბნებოდით, საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების დაფინანსებას ყველანაირად შეუწყობს ხელსო, ახლა მე გეკითხებით: ეს არის თქვენეული დემოკრატია, ჩვენთვის ზურგში დახვეწილი დანიშნულების ტელეარხს რომ ხსნით სააკაშვილთან ერთად, რომელსაც, ასევე, ჩემთან ერთ-ერთ ინტერვიუში „падонок“-ი უწოდებთ? აი, ამგვარი „დემოკრატიული ინსტიტუტების“ ზედამხედველად გინდოდათ, დაგენიშნათ ჩვენი ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც თქვენს მეგობარ ბადრის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გვერდში კედლივით ედგა?

მოკლედ: ერთობ „подозрительно действуете, господин Березовский, тот же Еленин“ და როგორ დაამთავრებთ თქვენს დემოკრატიულ „მარშბრასოკებს“ საქართველოში და, ზოგადად, კავკასიაში, ძნელად პროგნოზირებადია, ერთობ ძნელად, თუმცადა, ალბათ, „იქ, კრემლში“ ჩვენზე უკეთ იციან და აწი თქვენ იცით!!! რუსებს ერთი კარგი გამონათქვამი აქეთ: „С кем поведешься... რადგან თქვენი ცხოვრების ამ ეტაპზე სააკაშვილთან ერთად ირჩივთ სიარულს, რა გამოდის? „значит, Вы тоже такой же падонок, да?..“

# კოსმოპოლიტიზმის ქრისტიანული გაგება

კაცობრიობის დაყოფა ერებად და ენებად ღვთის უხუნაესი ნებით აღსრულდა და თუ ვინმე ამის საწინააღმდეგოს განხორციელებას ცდილობს, ანუ მსოფლიო საზოგადოების შექმნისთვის იღვწის, რაც ყოველივე ეროვნულს, რეგიონურსა და წინაპართა მიღიარ ტრადიციებს კატეგორიულად უარყოფს და რაც კოსმოპოლიტიზმის თანამედროვე, დამახინჯებული გაგებაა, ლუციფერულ ამპარტავებაშია ჩავარდნილი, რადგანაც საკუთარ ნებას უფლისაზე მაღლა აყენებს, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი კეთილშობილური მიზნით ინიღბება. როცა კაცთა მოღვაძე ამისთვის მზად იქნება, უფალი თავად გაგვართიანებს და, როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, ეს გაერთიანება უთუოდ სულიერ საწყისზე აღსრულდება და არა ფიზიკურ პლანში, რომლის მიღმა დგას მასონთა უკვე დაუფარავი მიხნები და მსოფლიოზე ბატონობის დაუკლებელი სურვილი.

კოსმოპოლიტიზმი არ ნიშნავს ერებს შორის ანტაგონიზმსა და კაცთმოძულეობას, მაგრამ მსოფლიო საზოგადოების შექმნის იდეა, სადაც არ იარსებებს ეროვნული დიფერენციაცია და ადამიანთა პიროვნული განსხვავება, არაქრისტიანულია. ჭეშმარიტი კოსმოპოლიტიზმი (და არა გლობალიზმი) ეროვნულ ფენებიდან იღებს სათავეს და ქრისტიანულ კაცთმოყვარებაზე, ანუ მოყვანის ნდობასა, თანადგომასა და სიყვარულზეა დაფუძნებული. ამის თვალსაჩინო მაგალითია სახარტისეული კეთილი სამართლები, სხვა შემთხვევაში კოსმოპოლიტიზმი ფარისევლობა და ერებს შორის ურთიერთდაპირისპირების სათავეა. ამის მკაფიო მაგალითია თუნდაც ბოლშევიკური კოსმოპოლიტიზმი, რასაც დაუნდობლად ებრძოდა სტალინი და მისი უახლოესი გარემოცვა. ჭეშმარიტი მსოფლიო მოქალაქეობა ეროვნული თვითშეგნების გარეშე არ არსებობს.

# როდის განკვეთა ეკლესიამ მონოფიზიტები

მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება 451 წელს ქალაქ ქალკედონში ჩატარდა. მას თავმჯდომარეობდა კონსტანტინეპოლელი მიტროპოლიტი ანატოლი. კრება 8 ოქტომბერს გაიხსნა და 1 ნოემბერს დასრულდა. მას ესწრებოდა 630 ეპისკოპოსი, რომლებმაც უმთავრეს საკითხად გაიტანეს და დაძრახეს ეგვიპტის მწვალებელი სწავლება. ეს მღვდელმთავარი ამტკიცებდა, რომ ქრისტიანი იყო მხოლოდ ერთი, ღვთაებრივი ბუნება და ერთი ნებისყოფა, ხოლო კაცის ბუნება და კაცის ნებისყოფა ჩანთქმული იყო ღვთაებრივი ბუნებისა და ნებისყოფის მიერ (ამის საფუძველზე მონოფიზიტები დღესაც ამტკიცებენ, რომ ქრისტი მხოლოდ დემეტრი იყო, მას არ შეეძლო ჯვარცმისას ტკივილი ეგრძნო და ტანჯვა განეცდაო). ამ სიმახინჯის სწავლებას მონოფიზიტობა, ანუ ქრისტეს ერთბუნებოვნება ეწოდება.

მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელსაც ეწოდა „მედიო მართლმადიდებლობის“, დაადგინა, „აღიაროს ქრისტიანული შეერთება ორთა ბუნებათა: განუყოფლად, განუყრელად, შეურყენელად და უქცევად“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორი ბუნება ქრისტესი არ შეადგენს ცალკე არსებულ პიროვნებას, ორივე ბუნება შეერთებულია ერთგვარულად. ისინი ერთმანეთში არ შერეულა, ანუ კაცური ბუნების მიღებით არ შეცვლილა არც ღვთაებრივი და არც ადამიანური ბუნება. ასე რომ, როგორც ქართველი, ასევე სხვა ეროვნების წარმომადგენელი მართლმადიდებლები დიოფიზიტები ვართ. კრებამ ეგვიპტი და მისი თანამოაზრე მონოფიზიტები განკვეთა. ქრისტიანულ მსოფლიოში მათ სწავლებას დღეს მხოლოდ სომხური ეკლესია მისდევს, თუმცა სომხები ამას საგულდაგულოდ ჩქმალავენ.

შეადგინა რ. შალამბერიძემ

# “პენზის ხელისუფალი”

ფანჯულიძე მესამე თაობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია პენზის მხარის გუბერნატორი ალექსანდრე ალექსის ძე ფანჯულიძე. სახელგანთქანი ბაბუის, მამისა და ბიძების ღირსეულმა მემკვიდრემ, ოჯახის ტრადიციისამებრ, თავისი მოღვაწეობა სამხედრო სარბიელთა დაიწყო, თუმცა საბოლოოდ სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობა არგუნა ბედმა. ისევე, როგორც მამამისის (სარატოვის მხარის გუბერნატორის), ალექსანდრე ფანჯულიძის მოღვაწეობაც მთავრობის ჯილდოებითა და პენზის მოქალაქეთა პატივისცემით დაფასდა.

ალექსანდრე ალექსის ძე 1779 წელს სარატოვში დაიბადა. მამამისი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარატოვის გუბერნატორი და რუსეთში საკმაოდ გავლენიანი პიროვნება გახლდათ; დედა – მსხვილი მევენახისა და მემამულის გ. ვ. გლადკოვის ქალიშვილი.

საკმაოდ მდიდარი და შეძლებული ოჯახის შვილმა 1807-1819 წლებში ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკში იმსახურა, ხოლო სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, 1822 წლიდან 1831 წლამდე, სარატოვის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი იყო. მამის სამსახურიდან დათხოვნას უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენია ალექსანდრეს სამსახურებრივ

კარიერაზე. ის ჩვეულებრივად ასრულებდა თავის მოვალეობას და 1831 წელს, მამის სიცოცხლეშივე, დანიშნეს პენზის გუბერნატორად.

ალექსანდრე ფანჯულიძე გულმოდგინედ იღვწოდა ქალაქ პენზისა და მთელი გუბერნიის აღმშენებლობისათვის. მის დროს პენზაში გაიხსნა მონადირეთა საზოგადოება და სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, რომლის პირველი საპატიო პრეზიდენტიც იგი გახლდათ. მან, ასევე, დიდი წვლილი შეიტანა 1855 წელს ყირიმის ომში მონაწილეობის მისაღებად მეომართა შეკრების საქმეში; მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა მთელი პოლიტიკა.

ცნობილია, რომ ალექსანდრე ფანჯულიძის მშობლები პატივისცემით სარგებლობდნენ იმპერატორის სამეფო კარზე. არც ალექსანდრე წარმოადგენდა გამონაკისს. მისი გუბერნატორობის პერიოდში პენზას ორჯერ სტუმრობდა სამეფო ოჯახი: 1836 წელს ეს იყო ნიკოლოზ პირველი, ხოლო 1837 წელს – უფლისწული ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (შემდგომში იმპერატორი ალექსანდრე მეორე).

„გუბერნატორის თანამდებობაზე ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი საქმიანობის“ 25 წლისთავთან დაკავშირებით ალექსანდრე ფანჯულიძემ საჩუქრად მიიღო უმაღლესი რესკრიპტი და ძვირფასი სათუთუნე ალექსანდრე მეორის პორტრეტით.

მამის ისტორია განმეორდა. 1859 წელს სენატორულმა რევიზიამ მას ბრალი გუბერნიის ჩინოვიანი, თვითნებურ მართვაში დასდო და ალექსანდრე ალექსის ძეც იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა; ცხოვრობდა ხან სოფელ რამზაში, ხანაც – პენზაში. თუ რამდენად ღირსეულად განავლო მან თავისი გზა, ამაზე მეტყველებს ის ჯილდოები, რომელთა შორის აღსანიშნავია წმ. ანასა და წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის, წმ. ვლადიმირის მეორე ხარისხის, „დიდი ჯვრისა“ და „თეთრი არწივის“ ორდენები.

ალექსანდრე ალექსის ძე ფანჯულიძე რუსეთის ისტორიაში შევიდა, როგორც „პენზის ხელისუფალი“. იგი 1867 წელს გარდაიცვალა.

„კავალერგარდის ისტორიის“ ავტორი სერგეი ალექსის ძე ფანჯულიძე 1855 წელს დაიბადა, სწავლობდა ნიკოლაევსკის კავალერიის სასწავლებელში, მონაწილეობდა თურქეთთან ომში 1877-78 წლებში, ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკში. მონაწილეობდა ბეგრ ბრძოლაში და მიღებული აქვს წმ. ანას IV ხარისხის და წმ.

სტანისლავის III ხარისხის ორდენები ხმელთა და ბაგითი.

1878 წელს მან გენერალური შტაბის აკადემიაში ჩააბარა. 1881 წელს გახდა შტაბს-როტმისტრი; აკადემიის დასრულების შემდეგ დაბრუნდა პოლკში, სადაც 1881 წლის მაისიდან 1883 წლის ივლისამდე იყო პოლკის სამმართველოს საქმისმწარმოებელი, 1884 წელს გადადგა; 1892 წლამდე სარატოვში იყო სამაზრო და საგუბერნიო სარევიზო კომისიის თავმჯდომარე, 1891-92 წწ. აირჩიეს მაზრის უფროსად; იყო იმპერატორის საისტორიო საზოგადოების წევრი, მოსკოვის არქეოლოგიური ინსტიტუტის, ასევე, სარატოვისა და ტამბოვის საარქივო კომისიების წევრი.

სერგეი ალექსის ძე ფანჯულიძე არის ავტორი და შემდგენელი „კავალერგარდის ისტორიის (1849-1912)“ მრავალტომეულისა.

რუსეთის ისტორიაში, ასევე, ცნობილია ალექსი ალექსანდრეს ძე ფანჯულიძის სახელი; იგი 1870-75 წლებში სათავეში ედგა ჩერნიოვოვის გუბერნიას; ხოლო ცნობილი ფანჯულიძე II-ს ვაჟი – ივანე სიმონის ძე (1813-1853) საგზაო ინჟინერი გახლდათ, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა რუსეთის გზების მშენებლობაში.

დარეჯან ანდრიაძე

## საქართველო – უფლებოების ზონა

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა წიგნი „უფლებოების ზონა“, რომელიც წარმოადგენს საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ მასალების კრებულს. ის, რომ დღეს საქართველოში უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქვეყანა ტოტალიტარიზმის წყობაშია ჩაყოფილი. პრეზიდენტის მიერ „ნულიანი ტელეკრანტის“ მოწოდებით შეკულიანებული პოლიციელები თავხედურად ესხმიან თავს მშვიდობიან მოქალაქეებს, უსწორდებიან მათ ე.წ. „კისტის თოფებით“, ხელკეტებით, მომწამლეული ნივთიერებებით და არმატურის ნაჭრებით. მრავალი უდანაშაულო ადამიანი გახდა ხელისუფალთა თვითნებობის მსხვერპლი...

კანონების სრული უგულვებლყოფა, რითაც სააკაშვილის ხელისუფლება თავისი ავრისის გახანგრძლივებას ცდილობს, თანამოქალაქეების მიმართ სიძულვილი და ადამიანებისადმი ცინიკური დამოკიდებულება, რაც ნიშანდობლივია სააკაშვილის ხელისუფლებისათვის, სახელმწიფოს კვდომის უტყუარი წინაპირობა გახლავთ. ამიტომაც მიანიშნა საზოგადოებას საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის უხეშად დარღვევები საგანგაშოდ, რასაც ეძღვნება კიდევ აღნიშნული წიგნი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ სპეციალური განცხადება უძღვნა ამ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას:

„რამ გადაგვაწყვეტინა წინამდებარე წიგნის გამოცემა.

ოცი წელია, საქართველოს ხელისუფლება ცდილობს მართოს ქვეყანა ყოველივე მანამდე არსებულის უარყოფით და მუდმივად ეძებს „ახალ ფორმებსა და მეთოდებს“, რაც, როგორც წესი, შემოიფარგლება ქართულ სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ უცხოური სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების ხელშეწყობად და ბრძადად გადმოტანით.

„ახლის“ დანერგვის პროცესს ხელმძღვანელობენ ასეულობით უცხოელი მრჩეველი, კონსულტანტი და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი. მათ რჩევა-რეკომენდაციათა ერთ-ერთი არსებითი ნაწილი იყო და არის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დასაცავური სტანდარტების შემოღება-დამკვიდრება.

ასე გავიდა ოცი წელი. ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნები არ იშურებენ ძალისხმევას, ქებას და სხვადასხვა საერთაშორისო ჯილდოებს საქართველოს ხელისუფლებისათვის დემოკრატიის და ადამიანის უფლებათა დამკვიდრების ფლაგმანის სტატუსის შესაქმნელ-შესანარჩუნებლად. ამ პროცესმა აპოკეას მიადგინა აშშ-ში ჯორჯ ბუში-უმცროსის და საქართველოში მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს. ჯორჯ ბუში-უმცროსი და მისი ხელისუფლება არ იღვებოდა სააკაშვილისათვის სხვადასხვა აღმატებითი ეპითეტების გამოგონებით და მისი ქებით, ბოლოს იგი დემოკრატიის შუქურად შეარაცხეს და იმ აზრსაც ნერგავდნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებში დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტი უნდა შექმნათ, რათა იქ წამყვან სპეციალისტად მიხეილ სააკაშვილი მიეწვიათ პრეზიდენტობის დამთავრების შემდეგ და ამ უკანასკნელს სხვა განვითარებადი ქვეყნების ხელმძღვანელთათვის ესწავლებინა, როგორ აყვავებინათ დემოკრატია თავიანთ ქვეყნებში.

საქართველო მართლაც გახდა მაგალითი, მაგრამ ის სამაგალითოდ იქცა დემოკრატიის მომტანი უფლებების და თავისუფლებების იგნორირების, პიროვნების ელემენტარულ უფლებათა ხელშეწყობის და არა მარტო საზოგადოების მოთხოვნილებათა, არამედ თვით ადამიანის სიცოცხლის უფლების უარყოფის საქმეში.

ხელისუფლება ცდილობს და ეს ნაწილობრივ გამოსდის კიდევ, რომ საზღვარგარეთ შექმნას სურათი, თითქოს ჩვენთან ყველაფერი კარგადაა და აქ დემოკრატია ყვეაის.

ქართული საზოგადოება, რომელიც არსებულ მწარე რეალობაში ცხოვრობს და მისთვის ყოველდღიური ამბავია ხელისუფლების მხრიდან განუკითხაობა და ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გათელება, სამართლიანად სვამს შეკითხვას: ნუთუ ასეთი დემოკრატიის მშენებლობას გეთავაზობდა დემოკრატიული დასავლეთი? თუ ისინი ამას გვირჩევენ, ამას ესალმებოდნენ და სხვებს სამაგალითოდ უთითებდნენ, გამოდის, მათ ეს სურდათ და ამისკენ მიჰყავდათ ჩვენი ქვეყანა?

ამიტომ ჩვენი წიგნი პირველ რიგში მათთვისაა განკუთვნილი, ვინც ჩვენგან დემოკრატიის პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დან-

ერგვა-პატივისცემას მოითხოვდა, რათა მათ კონკრეტული ფაქტების მიხედვით შეაფასონ საქართველოში ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობა.

თუ-კი საერთაშორისო საზოგადოებრიობა, საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები, საზღვარგარეთის სამთავრობო წრეები არასაკმარისად არიან ინფორმირებული, მაშინ ეს წიგნი შეავსებს თეთრ ლაქებს მათ ცოდნაში და ხელს შეუწყობს საქართველოში გამეფებული სასტიკი რეჟიმისადმი დამოკიდებულების კორექციას.

ქართველებს გვაქვს ერთი გამოთქმა, რომლის მიხედვით, თუ ჩამდენმა ერთი დააშავა, წამქეზებული ათასს აშავესო.

მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის ჩამდენთან ერთად მის წამქეზებელსაც დამნაშავედ აცხადებს და მასაც შემსრულებლის თანაბრად სჯის.

თუ-კი საქართველოს ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების კორექცია დაავიანებს, გამონათქვამს დამნაშავესა და წამქეზებლის შესახებ ქართველთა შეგნებაში კონკრეტული პერსონაჟები შემატება.



„ისტორიული მემკვიდრეობა“.

2009 წლის 10 დეკემბერს სასტუმრო „თორის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა აღნიშნული წიგნის პრეზენტაცია, რომელსაც დაესწრნენ ქართული საზოგადოების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, მოწვეული უცხოელი სტუმრები. სიტყვაში გამომსვლელები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ წიგნის გამოცემით სათავე დაედო დიდ წამოწყებას, რაც გულისხმობს ადამიანების უფლების

დაცვის საქმეში ფართო საზოგადოების ჩართულობას, რადგან უკვე ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოში ხელისუფლების მიერ პრაქტიკულად არაფერი ეკითხება ადამიანების უფლებათა დასაცავად, ხოლო პენიტენციურ სისტემაში მყოფ პატიმართა გაუსაძლისი მდგომარეობა კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ხელისუფლების არაცივილურ, არადემოკრატიულ მდგომარეობას ადამიანების სატიკონარისადმი, რაც, თავისთავად, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი მძიმე დანაშაულია. ამიტომ, აუცილებელია, რომ მსგავსი შინაარსის მქონე წიგნები გამოქვეყნდეს სისტემატურად, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ენებზე, რაც აიძულებს საქართველოს ტოტალიტარიზმის მოტრფიალე ხელისუფლებას, რომ მეტი ანგარიში გაუწიოს მშვიდობიან მოსახლეობას, მიმტკეპლები იყვნენ პოლიტიკური ოპონენტებისადმი და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში არ მიმართონ საძრახის ხერხებსა და მეთოდებს.

შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ამ საჭიროებოთო საკითხებზე ისაუბრეს პოლიტოლოგებმა რამაზ კლიშიაშვილმა და ჯიმი ჯალიაშვილმა, დოცენტმა შოთა კვიციანი, მეცნიერმა ვიქტორ ცაავამ, ადამიანის უფლებებისათვის მეგრძობმა ახალგაზრდა იურისტებმა ლაშა ჩხარტიშვილმა, დანი ცაგურიამ და ჯაბა ჯიშკარიანმა და გახუთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი თოდუამ. პრესკონფერენცია შეაჯამა არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარემ ტარიელ გაგნიძემ.

რედაქცია



# მკვლელი მკვლელია, სადაც არ უნდა იყოს...

დაახლოებით ერთი თვის წინ ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის საინფორმაციო გამოშვება "კურიერმა" ერთი ვაი-ვიშით გვაუწყა, რომ მოსკოვში სამმა მთვრალმა მილიციელმა ცემით მოკლა 19 წლის ქართველი ედუარდ ღურჭკაია. უდავოდ არასასიამოვნო ფაქტია და ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა სამხიბარი გამოვუცხადოთ და ღურჭკაიის გაუბედურებულ მშობლებსა და ახლობელ-ნათესავებს, რომლებიც ამტიციებენ, რომ ედუარდ ღურჭკაიას რუსი მილიციელები იმიტომ გაუსწორდნენ, რომ იგი ქართველი იყო. მაგრამ, ამ ვაიქართულ ტელეარხსაც უნდა შევახსენოთ, რომ ძალადობით დაღუპული უდანაშაულო ადამიანი ერთნაირად თანაგრძობის ღირსია, და მნიშვნელობა არა აქვს, მას რუსი მილიციელები პოლიციელები.

ვის-ვის ძვირფასო მეთხველო, და ჩვენ – ქართველებს ნამდვილად აღარ გვიკვირს ქართულ ძალოვან სტრუქტურათა წარმომადგენელთა მიერ ახალგაზრდა, უდანაშაულო ბიჭების მხეცურად დახოცვა. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ სააკაშვილ-შერაბიშვილის სანაქებო პოლიციამ "ნულოვანი ტოლერანტობისა" და "ხელის აუკანკალებლად" ცეცხლის გახსნის გავლით 80-ზე მეტ უდანაშაულო ახალგაზრდას მოუწყარვა სიცოცხლე!

ყოველივე ამის შემდეგ აუცილებელი არ არის, რომ სააკაშვილის პოლიციას ცოდვაზე ცოდვა დაუმატო და ის მკვლელობაც დააბრალო, რომელიც არ ნაუდენია, მაგრამ არც იმის უთქმელობა შეიძლება, რომ მოსკოვში ცემით მოკლული ღურჭკაიას დაღუპვაში სააკაშვილის ხელისუფლებასაც ურევია ხელი.

გავრცელებული ცნობით საქართველოდან ლუკმა-პურის საშორად წასული ედუარდ ღურჭკაია მოსკოვში ერთ-ერთ მშენებლობაზე მუშაობდა.

თუ არა სააკაშვილის ხელისუფლება, რომელმაც შევარდნაძის დროს არსებული მიხეილის სამუშაო ადგილებიც კი გააუქმა, სხვა ვინ შეიძლება იყოს დამნაშავე იმაში, რომ ქართველი ახალგაზრდობა თუ ხანშიშველი ადამიანები იძულებული ხდებიან ლუკმა-პურის საძებნელად სამშობლოდან შორს გადაიხვეწონ და ხშირად მათი ღირსების დამამცირებელი

შრომით ირჩინონ თავი და ოჯახი.

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას მართლაც რომ ისეთი ქვეყანა ჰქონდეს აშენებული, როგორსაც მისი ჯიბის ტელეარხები გვიხატავენ, მაშინ 19 წლის ედუარდ ღურჭკაია მოსკოვში აღარ გადაიხვეწებოდა. მილიონზე მეტი ქართველია დღეს საქართველოდან გახული და ეს ციფრი მაშინ კიდევ უფრო გაიზარდება, როცა ევროკავშირის ქვეყნებთან სავიზო რეჟიმი გამარტივდება. თბილისი შენდება და მშენებლობა, გულზე ხელს რომ იბრაგუნებს ეს ხელისუფლება, მაღე საქართველოში ქართველი აღარ დარჩება და თბილისს ნეტა ვისთვის აშენებენ და ამშვენებენ?..

აღბათ თავისი ჯიშისა და ჯილაგის ადამიანებისათვის! ხოლო ვისი ჯიშისა და ჯილაგისა სააკაშვილი და მისი ხელისუფლების უმეტესობა, ეს უკვე ყველა ქართველისათვის კარგადაა ცნობილი.

ღურჭკაია მოსკოვში იმიტომ გადაიხვეწა, რომ სააკაშვილის ლოზუნგი: "საქართველო სიღარიბის გარეშე" წმინდა წყლის ბლევით გამოდგა და პრაქტიკულად გადაიხარდა სომხებისათვის საოცნებო ლოზუნგში "საქართველო ქართველების გარეშე".

დღევანდელ არაქართულ ხელისუფლებას ეს ქვეყანა მიწასთან გასწორებული და დაქცეული რომ არ ჰქონდეს, 19 წლის ბიჭები სამშობლოდან ლუკმა-პურის საშორად არ უნდა დარბოდნენ და საქართველოში უნდა სჭედდნენ საკუთარ მომავალს.

საკაშვილის არაქართულ ხელისუფლებას, ედუარდ ღურჭკაიას დარად, ათასობით ქართველი უდანაშაულო ახალგაზრდისათვის სასიკვდილო განაჩენი უკვე აქვს გამოტანილი და სრულიად არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვინ მოიყვანს ამ განაჩენს სისრულეში – არცთუ გამტკვრალი რუსი მილიციელი თუ ქართველთა სისხლზე დაგეგმილი ზომბირებელი ქართველი "ზონდერი".

ისიც ფაქტია, რომ რუსი მილიციელების განწყობა საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული დაძაბულობის ფონზე არის ჩამოყალიბებული. იმდენი ვიყვირეთ "რუსეთი ჩვენი მტერიაო!", რომ, როგორც იქნა დავარწმუნეთ რუსები – რახან ჩვენ ქართველების მტრები ვართ, ესე იგი,

საქართველო ჩვენი მტერიაო. განა არ არის ეს რუსეთში ლუკმა-პურის საძებნელად გადახვეწილი ასიათასობით ქართველისათვის გამოტანილი სიკვდილის განაჩენი?

ამის შემდეგ, განა დაეჯერება სააკაშვილის "სომხური პროგრამის" განმხორციელებელ ხელისუფლებას განცხადება იმის თაობაზე, რომ ისინი ქართველ ხალხზე ზრუნავენ და მხოლოდ მათი კეთილდღეობის იმედით სულდგულობენ? ფეხებზე არ ჰკიდიათ საქართველო და ქართველი ხალხი?

აღარ დაგვლით იმ სიბოროტის კიდევ ერთხელ ჩამოთვლით, რაც ამ ხელისუფლებამ ქართველ ხალხს გაუკეთა.

სამართლიანობა მოითხოვს ადინიშნოს, რომ მთვრალი რუსი მილიციელების მიერ ღურჭკაიას მკვლელობის საქმეშიც კი რუსეთის ხელისუფლება მორალურად და სამართლიანობის თვალსაზრისითაც სააკაშვილის ხელისუფლებას ბევრად მაღლა დადგა!

ქართველი ახალგაზრდის ცემით მოკვლაში დადანაშაულებული მილიციელი მაშინვე დააპატიმრეს და მას განზრახ მკვლელობის მუხლით გაასამართლებენ!

კიდევ ერთხელ შევაწუხოთ წამებით სულამოხდილი სანდრო გირვლიანი სული, მისი დედა, ქალბატონი ირინა ენუქიძე და ბაბუა ჟიმურ ენუქიძე, რომლებიც შეიღისა და შვილისშვილის დარდს გადაჰყენენ და თან გაიყოფიეს საფლავებში იმით გამოწვეული შეურაცხყოფილი განცდა, რომ სანდროს მკვლელობის შემკვეთები არათუ დააპატიმრეს, არამედ დღესაც ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე არიან, მკვლელობის უშუალო შემსრულებლები კი სააკაშვილმა ციხიდან ისე გამოუშვა, რომ სასჯელის ნახევარიც არ მოუხდიათ.

ჩვენ ვიხდით ბოდიშს სამართლიანი განაჩენის მოლოდინში გარდაცვლილი ადამიანების ხსოვნის წინაშე და საკუთარ თავსა და მკითხველებს იმით ვანსრულებდით, რომ მკვლელობა და აკაცობა არავის შერჩენია და არც ამათ შერჩებათ!

ჯერჯერობით კი გულში დაგვიცინიან იმიტომ, რომ ხახვივით აქვთ შერჩენილი ზურა ვახაგაშვილის მართლაც მხეცური მკვლელობა ქალაქის ცენტრში. მისი არც

ერთი მკვლელი დღეს დაპატიმრებული არ არის და ისინი თავისუფლად დაპარაშებენ, მეტიც, შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ!

ადამიანის სახედაკარგული პატრულის თანამშრომელი, რომელმაც დიდუბის ეკლესიასთან ხელემაწეული სრულიად უდანაშაულო ბუტა რობაქიძე მხეცურად დახვრიტა, "უფლებამოსილების გადამეტების" მუხლით გაასამართლეს და მხოლოდ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს!

პატრულის ასევე გამხეცვებული თანამშრომელი, რომელმაც "მაკდონალდსთან" სრულიად უდანაშაულო გიორგი გამცემიძე მხოლოდ შელაპარაკებისათვის დახვრიტა, ორად-ორი წლით გამოამწყვდიეს ციხეში!

როგორც ხევისხერი გონა ამბობდა: "უდანაშაულოდ დახოცილ ვაჟაკთა სისხლი ცას შესჩხუნხუნებს!", მაგრამ სამართალი არსაიდან სჩანს.

არც გამოჩნდება, ვიდრე მკვლელ ხელისუფლებას თითოეულ ჩვენგანზე იარაღი აქვს დამზინებული!

სასხლეტის გამოკვრა, მხოლოდ დროის საქმეა...

რაც შეეხება რუსეთის ხელისუფლებას, მან ქართველი ბიჭის მკვლელი მაშინვე დააპატიმრა, და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას განზრახ მკვლელობის მუხლით გაასამართლებენ.

და ამას "ჩვენი დაუძინებელი მტერი" რუსეთი აკეთებს!

აღბათ საქართველოს ხელისუფლებამ არ იცის, რომ დემოკრატიის გამოვლინება უპირველესად ტოლერანტობასა და ობიექტურობას ნიშნავს და არა მკვლელებისათვის ხელის დაფარებას!

მოდით, რუსეთის ხელისუფალთა მიერ კანონისადმი ობიექტური დამოკიდებულების ფონზე ვაგაკეთოთ დასკვნა: ვის უფრო მეტი დანაშაული მიუძღვის ედუარდ ღურჭკაიას მკვლელობაში – ჩვენს ხელისუფლებას თუ რუსეთის მილიციას? ჩვენ მოვკალით, იქ შემოაკვდათ...

შედეგი ერთია, მაგრამ უფრო მძიმე დანაშაული იმან ჩაიდინა, ვისაც, კი არ შემოაკვდა, არამედ ვინც შეგნებულად მოკლა!

გ. ქათამაძე

## დევნილები ჩინოვნიკების მიერ დატაცებული შემწეობის თანხას ითხოვენ

სამეგრელოს რეგიონში მყოფი დევნილების სახელით დევნილთათვის პატივცემულმა ადამიანებმა: ივანე ჟვანიამ, ალექო ვეკუაშვილი, გივი ხაბურზანიამ და არჩილ კვარაცხელიამ ორი წლის წინათ მმართველთა გაუგზავნეს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. დევნილები მათთვის განკუთვნილი შემწეობის თანხის მიღებას მოითხოვდნენ. „2000 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის დახმარების თანხა ჩინოვნიკებმა დაიტაცეს. ამას დაემატა 2003 წლის ოქტომბრის თანხაც. მთლიანობაში ჩვენზე გაუცემელმა თანხამ 3,5 მილიონ ლარს გადააჭარბა. ამასთან, საფოსტო ბანკი სახალხო ბანკს მიუერთეს (რომელმაც დევნილების დახმარების გაცემაზე უარი განაცხადა). ამის გამო საფოსტო ბანკის ზუგდიდის განყოფილების მმართველი ქალბატონი მანანა ჩიტაია დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმეც. ძიების პერიოდში დევნილები დაბარებული ვიყავით სამხარეო პროკურატურაში, სადაც დეტალურად იქნა შემოწმებული თითოეული დევნილის საბუთები.“

2004 წლის ბოლოს, ხელახალი გამოძიების მიზნით და შემწეობის თანხების ანაზღაურების პირობით, ხელახლა დაიწვეს აღრიცხვა. საბუთების შედგენა (ასლების გადაღება, მინისტრისთვის გასაგზავნი განცხადებებისათვის სპეციალური ბლანკი) 6-12 ლარი დაგვიჯდა. მიუხედავად ამისა, საქმეს დღემდე რეგირება არ მოჰყოლია, დამნაშავეები კი

არჩენიან დასვირნობენ. "ზატონო მიხეილ, უმორჩილესად ვთხოვთ, მოახდინოთ სათანადო რეაგირება ჩვენ მიმართ განხორციელებულ უსამართლობაზე – ისედაც დატანჯულ დევნილებს, კიდევ უფრო გავვიწროვებენ, გთხოვთ, აგინახა დაუროთ მითვისებული თანხა," – ნათქვამია მიმართვის წერილში.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 2007 წლის 9 ოქტომბერს ეს წერილი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადაუგზავნა. 2007 წლის 25 ოქტომბერს მინისტრის მოადგილემ ირაკლი გორგოძემ ასეთი პასუხი გასცა დევნილებს: „ადინიშნულ საქმესთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო შეისწავლის თქვენ მიერ მიუღებელი შემწეობის თანხების საკითხს და მიიღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს“.

თითქმის ორი წელია, დევნილები ამოდ ელოდებიან ამ „გათვალისწინებულ ზომებს“.

ამ წერილის გაწამებულ ავტორებს მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების იმედი საერთოდ აღარ აქვთ, მაგრამ ჩვენი გაზეთის საშუალებით ერთხელ კიდევ დაავიქსირეს მათი კანონიერი მოთხოვნა.

ლადო ქირია, ზუგდიდი

## რა ექსპერიმენტებს ატარებდა ცერე-უ ადამიანებზე?

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ექიმები ადამიანთა უფლებებისათვის“ მიიწვევს, რომ „გაფართოებული დაკითხვებისათვის“ გუანტანამოს, ბაგრამეს, აბუ-გრეებისა და ცერე-უს სხვა ციხეებში მიწვეული ექიმები ადამიანებზე უკანონო ცდებს ატარებდნენ. უფლებათა დამცველი ექიმების აზრით, პროფესიონალი ექიმები „წამების პროგრამის“ ყველა ეტაპზე იღებდნენ მონაწილეობას.

ამერიკის სამედიცინო ასოციაცია კერძო პრაქტიკის მქონე ექიმების უმსხვილესი გაერთიანებაა, რომელიც ამჟამად მზადაა პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციასა თუ სხვა სახელისუფლებო სააგენტოებთან აღნიშნულ თემაზე დიალოგისათვის. ასოციაციის განცხადებაში ნათქვამია, რომ „წამებაში ექიმების მონაწილეობა საბაზო ეთიკური ნორმების დარღვევაა“.


აშშ-ში ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩატარება მათი თანხმობის გარეშე 1947 წლიდან აკრძალულია. მაშინ ნიურბერგის პროცესების შედეგად თვით ნაცისტები ექიმებისთვისაც კი შემუშავდა 10 „წმინდა პრინციპი“, რომელთა მიხედვითაც ნებისმიერი ექსპერიმენტის ჩასატარებლად აუცილებელია ცდის ობიექტის ნებაყოფლობითი თანხმობა და აუცილებელია ფიზიკური თუ სულიერი ტკივილის თავიდან აცილება. შენთვის კონვენციითაც სამხედრო ტყვეებსა და პატიმრებზე სამედიცინო ექსპერიმენტების ჩატარება აკრძალულია.

წელს გამოქვეყნებული ცერე-უს ინსტრუქციების თანახმად, ექიმები და ფსიქოლოგები ყველა ეგრეთ წოდებულ „გაფართოებულ დაკითხვას“ ესწრებოდნენ. წლებულს, აპრილში, შემთხვევით გახმაურდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მოხსენების დეტალები, რომელშიც ნათქვამია, რომ სამედიცინო პერსონალი დახრჩობის იმიტაციის პროცედურებსაც ესწრებოდა. უფრო მეტიც, გაირკვა, რომ მედიკები ოქსიმეტრის ჩვენებებს აკვირდებოდნენ და ორგანიზმის უანგბადოთ გაჯერების დონეზე მიაჩნებდნენ. წითელი ჯვარი ამ ქმედებებს სამედიცინო ეთიკის უხეშ დარღვევას უწოდებს.

„ექიმები ადამიანთა უფლებებისათვის“ ახლა ოფიციალური გამოძიების დაწყებას მოითხოვენ, რათა ზუსტად დადგინდეს ცერე-უს პროგრამაში ექიმების როლი, მათი რაოდენობა, ქმედებები და ის, თუ კონკრეტულად რომელ პრეპარატებს იყენებდნენ ცდებისათვის.

„ვაშინგტონ პოსტი“

# სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცლარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შეიღების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღადგინეს.

## კორნელი ბოროზდინი

მაგრამ ჩვენ ძალიან დაგვირდით ჩვენის ლაპარაკის საგანს. დაგვირდით იმ დროის აზნაურებს.

აზნაურებსა და მათს ბატონებს შუა დიდი მანძილი იყო. მაგალითად, მენიკი ბატონიშვილს შეეძლო ეთქვა, ჩემი აზნაური თემურყვა ჩიქოვანი, ჩემი სწორიაო? არა. ერთხელ თემურყვას ორი ქცევა მიწა აჩუქა ძღვნად მოყვანილი ძროხისათვის, რომელიც ამ აზნაურმა მღვდელ ოდიშარას მოჰპარა. მენიკი, მართალია, მიიღო ძღვენი, დააკლევინა კიდევაც, მაგრამ ამასთანავე იცოდა, რომ თემურყვა მახინჯია (ქურდია) და ეს ძროხაც ნაქურდალი იქნებაო; ასეთს ამბავს შეჩვეული იყო. თემურყვამ გამოართვა ბარათი ორის ქცევის მიწის ჩუქებისა, გახარებული შინ დაბრუნდა და ნაჩუქარს მიწას დაეპატრონა. მაგრამ რამდენსამე დღეს უკან მენიკთან მღვდელი ოდიშარია მოვიდა და მოახსენა: თემურყვამ რომ ძროხა მოგართვათ, ჩემი იყო და სხოსოვა, ჩემი ძროხა დამიბრუნეთ, თორემ ოლქის უფროსთან ვინივლებო. აფრინეს კაცი თემურყვასთან, მაგრამ ქურდი აზნაური სადაც გამქრალიყო. სიქვეს, ცუდადაა საქმეო და მენიკის ურჩიეს, მღვდელს მოურიგდით როგორმე, თორემ ამ რუსოსთან (ესე იგი, რუსის უფროსთან) საქმის დაჭერა ძნელია, ძველებური დრო არ არის ახლაო, ისეთი კაცია, რომ თქვენც გაგხვევთ საქმეში ნაქურდალის ძროხის შეჭმისათვისო. მეტი გზა არ იყო, მენიკიმ მღვდელს ძროხა უხდო... ძალიანა სწყინდა... წინანდელი დრო რომ ყოფილიყო, მომიჩივან მღვდელს კინწის კვრით გააგდებინებდა სასახლიდან...

და ამ ამბის შემდეგ, მენიკის ეუბნებიან, რომ მისი აზნაური თემურყვა რუსების აზნაური გახდა და რამდენიმე წლის შემდეგ, ვინ იცის, შეიძლება მარშალადაც ამოიჩიონ!... ან კიდევ, სერი ის იქნება, ჩემის ბიძის ელიზბარის, თხოვნით ახალმა მარშალმა მითხრას, შენს ქონებს მეტად ჰვლანგავო და მზრუნველად და მომვლელად თემურყვა დამინიშნოსო, ამბობდა მენიკი; მაგრამ, არა, ღმერთმა ნუ მომასწროს ამ დღესაო. ძალიან მოსალოდნელი იყო, ყოველივე ეს მომხდარიყო. თემურყვა რაკი გაიგებდა, თუ რა ახალი უფლებანი მიენიჭა, შეიძლება, პატიოსანი გამხდარიყო, კანონიერის გზით ამომრჩეველთა უფლება მოეპოვებინა და შემდეგ მარშალადაც აერჩიათ კიდევაც. რაკი ერთი გატყვევებოდა ნავსი და ძველებურ ბატონყმურ მდგომარეობიდან გამოვიდოდა კაცი, მისი ცხოვრება ძირეულად უნდა შეცვლილიყო.

სამეგრელოს მაღალი წოდების ყოფაცხოვრების აღწერის შემდეგ ვცდებით მკითხველს გაეცნოთ დაბალი წოდება, გლეხები. აქაც, ცოტა ბოლოდან უნდა დავიწყოთ, უნდა აღმოვწეროთ ცნობები კამერულ აღწერიდან, რომელიც ჩვენ მხოლოდ 1860 წელს შევაგინეთ.

ამ აღწერილობის თანახმად, მთელს სამეგრელოში 25.479 კომლი აღმოჩნდა, თითოეულ კომლზე ხუთი სული რომ ვიანგარიშოთ ორისავე სქესისა, სულ 127.395 სული გამოვა.

მათს შორის იყო: მაღალი წოდება.

ბატონიშვილები	215 სული
თავადები	1.309 „
აზნაურები	10.361 „
სასულიერო წოდებისანი	2.340 „
სულ	14.225 სული

### დაბალი, მოხარკე წოდება.

აზნაურები	2.875 სული
მსახურნი	19.935 „
გლეხი ანუ მარგალი	85.520 „
მოჯალაბე	4.950 „
სულ	113.280 სული

დაბალის წოდების გლეხნი სხვადასხვას ეკუთვნოდნენ და ამ მხრივ შემდეგის კატეგორიისანი იყვნენ:

სამთავრო გლეხები	13.745 სული
საკლესიო	15.325 „
საბატონიშვილებო	22.460 „
საგლეხო (რუსების-მიერ განთავისუფლებულნი).	1.755 „
სათავადო და სააზნაურო	59.895 „
სულ	113.180 სული

მაშასადამე, 14.010 სული თავადებსა, აზნაურებსა და სამღვდელეობაზე ითვლებოდა 59.895 სული გლეხი, ანუ, სხვანაირად, რომ ვსთქვათ ოთხი კაცი მუშაობით სულს ირთმევდა და ერთი კაცი ბატონი იყო, ამ ოთხი კაცის ნაწილადგა ხარჯავდა!...

ეს ციფრები ყველზე მეტად მკაფიოდ გვიხატავენ მაშინდელის დაბალის წოდების მდგომარეობასა, როცა გლეხი ნივთად იყო ქცეული ღარიბ და რიცხვ-მრავალ წოდების ხელი.

ამ, მუშა საქონლად ქცეულს, ხალხის დამორჩილება მხოლოდ ჯაჭვითა და ხუნდებით შეიძლებოდა და მთავარი და ბატონიშვილებიც ამ საშუალებას ხმარობ-

დენ, სხვა გზა არა ჰქონდათ. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ხალხი, რა გასაკვირი იყო, აჯანყებულყო, თავისი ბატონების წინააღმდეგ ხელი აღმართა?!..

რაც რუსები აქ შემოვიდნენ, დიდძალი მასალა შეიკრიბა კავკასიის ქრისტიან გლეხების ისტორიისათვის. ეს მასალები გაბნეულია არქივებში და დიდი შრომაა საჭირო, კაცმა ყოველსავე ამას ერთად თავი მოუყაროს და სინიდიხიერად შეიმუშავოს. ამ ისტორიიდან მკითხველი შეიტყობს, რომ აქ დამკვიდრებული რუსის მთავრობა სულ ფათურით მიდიოდა წინ, მეტად დაუდგრომელი იყო, დღეს რომ ერთს ზომას იხმარდა, ხვალ სულ სხვას მიმართავდა; მებატონეთაგან შეწუხებულ გლეხებს ხან შევლას აძლევდა, ხან ისევ მუხრუჭს მოუჭერდა და მებატონეებს სულს ართმევინებდა. როცა რუსეთმა საქართველო შემოიერთა და აქაურს მაღალს წოდებას თავისს ყმა-გლეხებთან მთავრობას ეკონა, რომ აქაური მებატონე – ორივე ერთი იყო, ესე იგი, მებატონე თავისს მაშულში იმას სწადიოდა, რაც უნდოდა, და ყმას, როგორცა სურდა, ისე ექცეოდა, მაგრამ აქაური მებატონეები რუსეთის წეს-წყობილებას არ იცნობდნენ და არ შეეძლოთ ერთბაშად ისე მოქცეოდნენ გლეხებს, როგორც რუსის მებატონენი ექცეოდნენ, ამიტომ რომ სანამ აქ რუსი შემოვიდოდა, იმდენი უფლება თავის-დღეში არა ჰქონიათ, რამდენიც რუსის მებატონეთა ჰქონდათ. აქ ყველაფერი ადათითა სწარმოებდა, გლეხებიც იმ კატეგორიებად იყვნენ დაყოფილნი, როგორც სამეგრელოში, და ყველას თავისი მოვალეობა აწვა. ამიტომ, მართალია, აქაურს მებატონეებს პირველში ის უფლება ჰქონდათ, რაც რუსის მებატონეებსა, მაგრამ კარგა ხანმა გაიარა მას შემდეგ, რაც რუსეთის ქვეშევრდომნი გახდნენ, და მცოლდლ მაშინ მოსთხოვეს თავისს ყმებს ის, რასაც რუსეთის რუსეთის მებატონეები თხოულობდნენ გლეხებისაგან. გლეხებმა წინააღმდეგობა გამოაცხადეს: – ადათით მოგვთხოვეთ სამსახურიო. მაშინ მთავრობა ჩაერია საქმეში, მებატონეების მხარე დაიჭირა და უსწორო ბრძოლა იმითი გათავდა, რომ გლეხები ვალდებულნი გახდნენ მებატონეთათვის ყველაფერი სიტყვის-შეუბრუნებლად დაეჯერებინათ, მაგრამ ამ უკანასკნელთ უფლებას ერთი სუსტი მხარე არმოახნდა, ეს სერიშეს გლეხებმა და ხელები მაგრად ჩასჭიდეს.

მაშინ ლიბერალური დროება იყო, ალექსანდრე I იმყოფდა. რუსეთში შიგა-და-შიგ, ის-ის იყო, იწყებდნენ, თუმცა მორიდებულად, გლეხების განთავისუფლებისათვის ზომების შემოღებას. ერთი ამ ზომთაგანი რუსეთში ისე შემოვიდა, რომ არც კი ვისმე შეუმჩნეოდა. საქართველოში კი ამავე ზომის შემოღებამ ცხოვრება თვალსაჩინოდ შესცვალა: აქაურს გლეხებს გამოეცხადათ, უფლება გაქვთ სასამართლოს წესით განითავისუფლოთ თავი იმათგან, ვინც თქვენი ბატონია უკანონოდო. ხოლო უკანონო მებატონეებად, სხვათა შორის, ისეთი მებატონეებიც ითვლებოდნენ, ვისაც მესაკუთრის საბუთი არ ჰქონდათ იმ მამულებისა, სადაც ყმები ესახდნენ. აი სწორედ აქ აღმოჩნდა ქართველ მებატონეების საქმის სუსტი მხარეც: საბუთის ქალაღები არეულ-დარეულები ჰქონდათ, ზოგს სულ დაეკარგნა კიდევაც; თავისუფლების მაძიებელ გლეხთა საქმეების გარჩევა მინდობილი ჰქონდა გუბერნიის პროკურორს: მოკლე ხანში მრავალი მოგროვდა ასეთი საქმეები სასამართლოში გასარჩევად. გლეხები ყველაგან იკებდნენ საქმეებსა. ბატონისაგან განთავისუფლებული გლეხები სახაზინო გლეხებად ეწერებოდნენ ან და ქალაქებში მიდიოდნენ და მოქალაქეებად ხდებოდნენ.

გლეხები ესწრაფვოდნენ ხელიდან არ გაეშვათ თავისი უფლებები და ცდილობ-

დენ შეემსუბუქებინათ თავიანთი ტვირთი. ამ მხრივ გლეხების მეცადინეობამ განსაკუთრებით თავი იჩინა ოციანს და ოცდაათიანს წლებში, როცა საგუბერნიო პროკურორად ქ. ტფილისში ბნი პერვოვი იყო, რომელსაც ქართველი მებატონენი ყოველ მხრივ წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ. ხოლო ოცდაათიანის წლების გასულს სახელმწიფო საბჭოს წევრი ბარონი განი, როცა ემზადებოდა კავკასიის მხარეში სამოქალაქო მართვა-გამგეობის შეცვლისათვის და როცა დაახლოებით გაიცნო საგლეხო კითხვა საქართველოში, დარწმუნდა, რომ აქ ბატონ-ყმობა თავის დღეში არ ყოფილაო, გლეხები უბრალო ფერმერები იყვნენ და მებატონეს ჰირნახულის ერთ ნაწილს აძლევდნენ, რამდენსამე დღეს წელიწადში მუშაობდნენ იმისათვის, შეეძლოთ, როცა უნდოდათ, საბატონო ადგილისათვის თავი დაენებებინათ, ამიტომ, ამბობდა ბარონი განი, აქაური გლეხები დაუყოვნებლივ უნდა გავათავისუფლოთ, აქაური გლეხები და ოსტხეის გუბერნიის გლეხები ორივე ერთიანო. ბარონ განის აზრის თანახმად, კავკასიის გამგეობის საბჭო ემზადებოდა უმაღლეს მთავრობისათვის მოეხსენებინა, რათა ეს საგლეხო კითხვა საკანონმდებლო წესით გადაწყვეტილიყო.

ქართველი თავადაზნაურობა ხედავდა, ბარონი განი ხეირს არ დაგვაყრის, თუ ჩვენც ხმა არ ამოვიდეთო. მებატონეებს პეტერბურგში თავადაზნაურობის წინამძღოლი თავადი დიმიტრი თომას ძე ორბელიანი და მასთან ერთად რამოდენიმე მოციქული გაგზავნეს. ამ დეპუტაციას ხელმწიფისათვის უქვეშევრდომილებად უნდა ეთხოვნა, თავადაზნაურობა დაგვიფარეთ ამ უკანონო და საწყენ მოქმედებისაგანო. დეპუტაცია პეტერბურგში იმდენს ეცადა, რომ გრაფ ბეკენდორფის გული მოიგო, და ამ უკანასკნელის შუამდგომლობით იმპერატორმა ნიკოლოზმა საქართველოში თავადი ა. ი. ჩერნიშევი გამოგზავნა ადგილობრივ გამოსაძიებლად და გადასაწყვეტად ამ საქმისა. თავად ჩერნიშევი ხელმწიფისაგან დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული. ასეთ სტუმარს ტფილისის თავადაზნაურობა შესაფერად დაუხვდა. მიუხედავად მოხუცებულობისა, ჩერნიშევი საშინელი არშიყი და თავიანთსმცემელი იყო ქალებისა. სულ იმასა ცდილობდა, თავი გაეახალგაზრდავებინა, ხმარობდა ფერსა და უმარილსა, ყალბ კბილებსა და თმებს ატარებდა, ტანხედაც კორსეტი ჰქონდა შემოჭერილი, რა არის, ტანწვრილი გამოჩნდებოდა და ქალებს მოეწონო. აჰმადის სამოთხის ქალები რომ დაინახა, ჩერნიშევი არამც თუ გაემაწვილდა, მათმა ნახვამ ტყვედ ქმნა მოხუცის გული, ვერ გაუძლო მათს მომჯადოებელს სახეს. ვისაც მაშინდელი დრო ახსოვს, მოგვითხრობენ, რომ ფელდშერები ტფილისიდან პეტერბურგში დაჰქროდნენ განგებ მარაოებისა, სურნელებისა და სხვა ნივთებისათვის, რომლებიც საჭირო იყო ქალების ბუღუარებისთვისო. ეს ნივთები ტყვედ-ქმნილ თავადს აქაურ ღამაზ ქალების საჩუქრად უნდოდა. თავადი პეტრობოდა ტფილისში, ბედნიერებისაგან ცათაფრენა ჰქონდა შემდგარი. ამ ნეტარების შედეგი, რა თქმა უნდა, ის იყო, რომ თავადმა ჩერნიშევი სრულიად უარყო ბარონ განის წინადადება ბატონყმობის გაუქმების შესახებ. 1842 წელს ცალკე ცირკულიარი გამოსცა, რომლის ძალით ადგილობრივს ადმინისტრაციას ნაბრძანები ჰქონდა: თვალყური ადევნეთ ყმებს, რომ ბატონებს ყველაფერში ემორჩილებოდნენო. ხოლო როცა ყმებმა, ის იყო, განიზრახეს წინააღმდეგობა განეცხადებინათ, სამხედრო ეგზეკუციამ აგრძნობინა, რომ განთავისუფლების იმედი, თუ სამუდამოდ არა, დიდხანს მაინც არ უნდა გექონდესო.

ირმა ინაშვილი:

მართლმადიდებელ ეკლესიასა და პატრიარქს შორის  
სუთი წლის წინათ დაიწყო თაყიბუღების ინსტიტუტი

სახელმწიფო ტელევიზიას წმიდა სინოდის დისკრედიტაციას ავალბედენ

„გარდების რეგულაციის“ შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც ლიბერალთა ერთმა ჯგუფმა დემოკრატიული ღირებულებების დეკლარირებით ხელში ჩაიგდო სახელმწიფო ძალაუფლება, მართლმადიდებელ ეკლესიას შეტევის დროც დადგა. მათ კარგად ესმოდათ ამ ბრძოლის სირთულე. ხალხის სარწმუნოებისკენ შემობრუნება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ეკლესიის დიდი ავტორიტეტი, რასაც აშშ-ს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის გამოკითხვებიც ადასტურებდა, მათთვის საფრთხესაც შეიცავდა და კიდევ უფრო აშფოთებდა ულტრალიბერალურად განწყობილ დემოკრატებს.

მაგრამ ეს საფრთხე მათ კიდევ უფრო მეტ ჟინს აღუძრავდა, გააფთრებით ებრძოლათ ეკლესიის წინააღმდეგ. რაკი იცოდნენ, რომ ღია ბრძოლა მართლმადიდებელი ქართველების (და არა მარტო მათ!) აღშფოთებას გამოიწვევდა, ეშმაკობას მიმართეს და ხალხის იდეოლოგიური დამუშავება დაიხსნეს მიზნად.

პირველი ნაბიჯი იყო სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე სპეციალური გადაცემების მომზადება. ამ საკითხს საგანგებო თათბირები – „რელიგიის თათბირები“ მიუძღვნეს, რომლის მიზანი იყო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება საქართველოს საპატრიარქოსთან და ქართულ ეკლესიასთან მიმართებაში.

პირველ არხს კომპლექსურად უნდა გაეშუქებინა ეს თემა, „მოამბის“ საინფორმაციო გამოშვებებით დაეწყებოდა და დოკუმენტური ფილმების ციკლით დამთავრებული, რაც ჟურნალისტ ირმა ინაშვილს და პუბლიცისტის ჯგუფს ევალებოდა. ამ გეგმის ავტორი იყო „თავისუფლების ინსტიტუტი“. 2004 წლის ზაფხულში ამ ჯგუფმა თათბირზე მიიტანა ექვ. პირ-გეგმა სათაურით „ძირითადი მესიჯები“:

1. საქართველოს საპატრიარქო – აისახოს, რა ვითარებაა სინოდში. უნდა ითქვას, რომ სინოდი გახლავთ რამდენიმე ნაწილად, რომ პატრიარქი ვეღარ მართავს პროცესებს, რადგან დაბერდა... სინოდი უნდა წარმოინდგეს, როგორც უუნარო ორგანო, როგორც კორუმპირებული მეუფეების ჯგუფი, რომელთა ერთი ნაწილი ფანატიკოსია, მეორე – მექრთამე, მესამე – ეკლესიაში ცვლილებების დამკვიდრების მსურველი;
2. უნდა მომზადდეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავს სამონასტრო ცხოვრებას. ამ ფილმში უნდა ითქვას, რომ დედალები გათხოვბაზე ოცნებობენ, ხოლო მამები მამათმავლები არიან. ეს უნდა ითქვას „ღამაზ ფორმში“;
3. უნდა მომზადდეს ფილმი, რომელშიც აისახება, რომ მრევლი აბსოლუტურად ბრმა და უცოდინარია. ფერცვალების დღეს უნდა მივიდეთ ეკლესიებთან და გკითხოთ მრევლს: იცით, რა არის ფერცვალება? და ვნახეთ, რომ უცოდინარნი არიან ეს ადამიანები;
4. უნდა გაშვიდდეს ჯოჯოხეთი და სამოთხე. ამ ბლოკს პირობითად „რეპორტაჟი ჯოჯოხეთიდან“ ეწოდება;
5. ქართული და ბერძნული საგალობლების თემა. წირვის არქიტექტონიკა – ყველაფერი არის გადასახალისებელი და შესაცვლელი. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ეკლესია „ძველ დროში“ დარჩა და არ ნერგავს სიახლეებს, ანუ ჩამორჩენილია;
6. როგორ ავიწროებს მართლმადიდებლობა სხვა კონფესიებს, როგორ დაანკრის მართლმადიდებლებმა ჯავახეთში მსოფლიო ურთი ეკლესია. ასეთი ფაქტები მსოფლიო უნდა წარმოვანიშნოთ!
7. ეკუმენიზმის გაანალიზება, პროპაგანდა. რატომ გამოვიდა პატრიარქი მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან, რომ ეს იყო არასწორი, ანუ უნდა გავაკრიტიკოთ პატრიარქი!
8. მოუნათლავე ბავშვების ჯოჯოხეთში მოხვედრის თემა!

ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა „თავისუფლების ინსტიტუტს“ პირდაპირ უთხრა, რომ ეს კამპანია მიზნად ისახავდა დედა-ეკლესიის დისკრედიტაციასა და პატრიარქის ჩამოგდებას!

ბუნებრივია, 2004 წელს სახელმწიფო ტელევიზიაში „თავისუფლების ინსტიტუტის“ საბოლოოდ გაბატონების შემდეგ ირმა ინაშვილი ტელევიზიიდან დაითხოვეს. იგი ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივს“ ხელმძღვანელობს და პერიოდულად ამხადებს დოკუმენტურ ფილმებს, რომლებშიც დღევანდელი პირდაპირად არის ასახული. ახლა, როცა გააფთრებით უტყვენ პატრიარქსა და ქართულ ეკლესიას, ირმა ინაშვილის რედაქციაში მოწვევა გადაწყვიტეთ და სუთი წლისწინანდელი პერიპეტეიების გახსენება ვთხოვეთ.

– ირმა, არაერთხელ გითქვამს, რომ „გარდების რეგულაციის“ შემდეგ ხელისუფლებამ და მისმა იდეოლოგიურმა შტაბმა იერიში საქართველოს ეკლესიაზე მიიტანეს...

– 2004 წლის აგვისტოში, როდესაც ჯერ კიდევ საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე პუბლიცისტის ჯგუფის ხელმძღვანელად ვმუშაობდი, ჩემს კოლეგებთან ერთად, დამიბარეს ტელევიზიის სათათბირო დარბაზში. როდესაც „საგანგებო თათბირზე“ შევედი, დარბაზში დამხვდნენ „თავისუფლების ინსტიტუტის“ მხარდამკვირვებლები და წვერები: ლევან რამიშვილი, გივი თევზაძე, სოზარ სუბარი, ლაშა ბუღაძე, ბექა მინდიაშვილი, ნოდარ ლადარია, ბასილ კობახიძე, მამუკა ხერხეულიძე, თამარ კინწურაშვილი... ამ ადამიანებმა, ანუ ჩვენი ქვეყნისა და ერის დიდმა „მოსიყვარულებმა“ დაგვირიგეს გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მართლმადიდებლური ეკლესიის დისკრედიტაციას. პირ-გეგმის თანახმად, პირველი არხის გადასცემის ჯგუფებს მონაწილეობაში მოღვაწე დედები და მამები მაქსიმალურად ნეგატიურ ჭრილში უნდა წარმოგვიჩინა, რათა ამას გამოეწვია საზოგადოების უნდობლობა და ზიზღი ეკლესიისადმი. ჩვენ უნდა გვეჩვენებინა საპატრიარქო, როგორც შურიანი, მოქიშპე მდგელმსახურთა ბუდე. უნდა გავგვეჩვენებინა ქართული საეკლესიო გალობა, წირვის; ხაზი უნდა გაგვესვა, რომ მრევლი გაუნათლებელია და არ იცის კონკრეტული საეკლესიო დღესასწაულების ისტორია და არსი.

ახლოვდებოდა ფერისცვალების დღესასწაული. „თავისუფლების ინსტიტუტის“ „ლიდერში“ გვაძლევდა რეკომენდაციას, – გამოგვეკითხა მრევლი და გვეჩვენებინა, რომ დიდმა ნაწილმა არ იცის, რას ნიშნავს ფერისცვალება.

მინდა, ექსკლუზიურად თქვენს გაზეთს გადავცე ეს ნაბეჭდი მასალა, რაც მესიჯების სახით მიიტანა „თავისუფლების ინსტიტუტმა“.

– ამ თათბირის მონაწილე ტელევიზიის თანამშრომლებმა რა უპასუხეთ?

– ტელევიზიის თანამშრომლებმა ამ თათბირებს უწოდეს „რელიგიის თათბირები“. ყველამ გაიგო, რაც ხდებოდა სააქტო დარბაზში, ყველა ხელავდა „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლიდერებს, ყველა გრძნობდა საშიშროებას და გვთხოვდა, ანტიეკლესიური ფილმები არ მოგვემზადებინა.

– შემდეგ როგორ განვითარდა პროცესები?

– მე დიად დაუპირისპირდი „თავისუფლების ინსტიტუტის“ გუნდს და ვთქვი, რომ არ გავაკეთებდი ამ ფილმებს, თუ პატრიარქის კურთხევას არ მივიღებდი... მართლაც, წავედი საპატრიარქოში და შევეხვი მამა გიორგი გამრეკელს (ამჟამად მეუფე იოანე) და ყველაფერი ვუამბე. პატრიარქმა ამის შესახებ როცა შეიტყო, განაცხადა: „თუ იქნება ღვთის ნება, ეს ფილმები არ გაკეთდება“... მოკლედ, დაიწყო მზადება გადაღებებისთვის.

– ეს ერთი თათბირი საკმარისი იყო და მეტად აღარ „დაუმუშავებიათ“?

– „რელიგიის თათბირები“ გავრცელდა. ერთ-ერთ თათბირზე პირდაპირ მივახალღე ბასილ კობახიძეს: „თქვენ პატრიარქის

ადგილის დაკავება გინდათ. აქ მზადდება შეთქმულება ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ. ჩემი ჯგუფი მოამზადებს ისეთ ფილმებს, რომლებშიც აისახება სიმართლე და არა თქვენი მახინჯი ფანტაზია“. ატყდა ერთი აურზაური... „ფანატიკოსი მორწმუნე ყოფილა“, – ამბობდნენ ჩემზე... სხვათაშორის, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წვერებს დიად დაუპირისპირდა, ასევე, „მოამბის“ მთავარი რედაქტორი თაკო ფხაკაძე. დანარჩენები გეგმის განხორციელებას დათანხმდნენ. ამ კამპანიის წინააღმდეგი იყო ზაზა შენგელია, რომლის წინაპრებიც სასულიერო პირები იყვნენ, მაგრამ ზაზა ასერხებდა სიტუაციის დაბალანსებას... ყოველ თათბირზე ხმამაღლა ვაპროტესტებდი „თავისუფლების ინსტიტუტის“ მამებისა და დედების ზეწოლას. სიტუაცია გახმაურდა და სკანდალში გადაიზარდა, ერთ მშვენიერ დღეს კი ყველაფერი ჩაწყნარდა. „თავისუფლების ინსტიტუტმა“ პირ-სტრატეგია მხოლოდ რამდენიმე გადაცემაში განხორციელდა; ისიც, უშედეგოდ. მოკლედ, „ბეგმა“ ჩავარდა.

– „თავისუფლების ინსტიტუტი“ მარცხს ასე ადვილად შეეგუა?

– რას შეეგუა, მთელი ტელევიზია ხელში ჩაიგდეს. ზაზა შენგელიას თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, პირველი არხის გენერალური დირექტორის პოსტი თამარ (მაია) კინწურაშვილმა დაიკავა. გაირკვა, რომ პირველი არხი ხელისუფლებამ „თავისუფლების ინსტიტუტს“ გადასცა. სწორედ მაშინ ჩავატარე საგანგებო ბრიფინგი და ვამხილე „თავისუფლების ინსტიტუტის“ ანტიეკლესიური შეთქმულება. დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ტერმინმა: „რეპორტაჟი ჯოჯოხეთიდან“, რომელიც (როგორც ხედავთ) „საპროგრამო თეზისებშია“ წარმოდგენილი. როცა ეს ტერმინი ვახსენე, ყველა ტელეგამზდა აქტიურად მხოლოდ მასზე გადაიტანა, ტერმინი კონტექსტიდან ამოიღო და გამოვიდა, თითქოს ერთი გიჟი ჟურნალისტი „ჯოჯოხეთიდან რეპორტაჟზე“ საუბრობდა.

– მხოლოდ პირველი არხი აქტიურობდა, თუ სხვა ტელევიზიებიც ჩართეს ამ ანტიმართმადიდებლურ და ანტიეკლესიურ ბრძოლაში?

– იმავე დღეებში „რელიგიის თათბირების“ თემას მიუძღვნა ეკა ხოფერიას თოქ-შოუ „რუსთავი 2“-ზე და ინგა გრიგოლიას გადაცემა „იმედზე“. ორივე წამყვანს და მათ პროდიუსერებს ვთხოვე, სტუდიაში მივეწვიე, რაზეც უარი განმიცხადეს.

– კი მაგრამ, გადაცემები შენს ბრიფინგს მიუძღვნა და არაფერი გკითხეს, სტუდიაშიც არ მივიწვიე?

– ეკა ხოფერიას პროდიუსერმა მითხრა, რომ ლევან რამიშვილს ამის სურვილი არ აქვს. მოკლედ, მე ვიყავი თემის მთავარი გმირი და ისე მამობდნენ „გიჟის“ იარლიყით, კომენტარის გაკეთების საშუალებაც არ მომცეს... აი, ასე ესმით თავისუფალი მედია და დემოკრატია ჩვენს კოლეგებსაც და „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგებსაც. ერთ-ერთ გადაცემაში ჩაერთო პირველი არხის გენერალური დირექტორი თამარ კინწურაშვილი და განაცხადა: „ირმა ინაშვილს ვურჩევ, ექიმს მიმართოს, არანაირი თათბირები არ ყოფილა. ის გიჟია და მას შემდეგ გაგიყვანა, რაც სამსახურიდან გავათავისუფლეთ. ასე მოვექცევით ყველას, ვისაც შეგარდნაძის დროს პრივილეგიები ჰქონდა“... საინტერესოა, რა პრივილეგია ჰქონდა შეგარდნაძის დროს – სამონტაჟოში სკამი არ მედგა და ყუთზე ან მაგიდაზე ვიჯექი; ტექნიკა მოძველებული იყო და ერთი საათის სამუშაოზე 24 საათს ვხარჯავდი; არც კაბინეტი ჰქონდა, არც მანქანა მემსახურებოდა და არც საჩუქრებს მიგზავნიდა ვინმე... ახლა ვეუბნები თამარ კინწურაშვილს, რომ გიჟი მე კი არა, თავად კინწურაშვილია... ადამიანი, რომელიც ხმამაღლა იტყვის, – შვილს სახარება როგორ უნდა წააკითხო, ნამდვილად სამკურნალოა.

თუ კარგად დააკვირდებით, „თავისუფლების ინსტიტუტის“ მთელი ძველი და ახალი თაობა სამკურნალოა.

ფილმების ინსტიტუტის“ მთელი ძველი და ახალი თაობა სამკურნალოა.

– დღეს საქართველოში „ჩვენი დროის გმირი“ თუა თუთბერიძეა და ზოგიერთი მის დაცვასაც არ თაკილობს...

– დღეს თუა თუთბერიძეს რომ იცავენ, – არიქა ვინმემ არ მოკლას და ცემოსო, 2005 წელს „თავისუფლების ინსტიტუტის“ რომ დამესხა, ვინმემ იფიქრა ჩემი უფლებებისა და ღირსების შელახვაზე?.. მხოლოდ საქართველოს პატრიარქმა დამიფარა – უმძიმეს დღეებში, როცა ცილს მწამებდნენ და გიჟს მუხადნენ, უწმინდესმა მიმიღო და დამლოცა. „როცა სარწმუნოების დასაცავად გიჟს გიწოდებენ, ეს დიდი მადლია, ნეტარება...“ – ასე მითხრა.

– ირმა, განა მოულოდნელი იყო ამ ხალხისგან საპატრიარქოსა და მედიაზე შეტევა? ჩვენ ხომ კარგად ვიცოდით, ვინც იყვნენ და რა მიზნებიც ამობრახებდათ?

– „გარდების რეგულაციონერები“ ადამიანებს არწმუნებდნენ, რომ შეგარდნაძის რეჟიმი ახალმა, დემოკრატიულმა ძალამ შეცვალა. 2004 წლის ზაფხულში კიდევ ერთხელ დაერწმუნდი, რომ ხელისუფლებაში მოვიდა ბოროტი ძალა და მე ვიყავი პირველი ჟურნალისტი, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმს უწოდა „ბოროტი“. როცა ანტიეკლესიური გეგმა გავახმაურე, მარტო დავარჩი... 2004 წელს საზოგადოების დიდი ნაწილი ან შეშინებული იყო, ან ალტაცებული სააკაშვილის გუნდით. ზოგმა დამცინა, ზოგმა არ დაიჯერა. ვინც დაიჯერა, სიმამაცე არ ეყო, რომ ხმამაღლა და დიად დაეჭირა მხარი. დღეს კი 2009 წელია... მთელი სუთი წელი დასტურდა საზოგადოებას გამოვლიდებისთვის... ბევრმა „რეგულაციონერმა“ ბოდიშიც მოიხადა: „დემოკრატია გვინდოდა და დიქტატურა გამოგვივიდაო“. თქვენ კი იხდით, ბატონებო, ბოდიშს, მაგრამ ამით ჩემს ქვეყანას რა?..

– ვის გულისხმობ?

– მაგალითად, ლევან ბერძენიშვილსა და რესპუბლიკურ პარტიას, რომლებიც თავის დროზე მოძღვრავდნენ „თავისუფლების ინსტიტუტის“ სახეებს და ქმნიდნენ ამ იდეოლოგიას... მათი აღიარებების მოხმენაში ჩემი თაობის საუკეთესო წლები გავიდა... წავიდნენ, დაისვენონ, იქნებ უფრო ეშველოს ქვეყანას...

– პატრიარქის წინააღმდეგ ამ დღეებში ავტორებულ კამპანიაზეც უნდა გკითხო...

– ჩემი აზრით, ამ კამპანიით მიხეილ სააკაშვილმა ისარგებლა და ერთ-ერთოვლად რამდენიმე კურდღელიც დაიჭირა. ჯერ ერთი, მას შემდეგ, რაც ახალაიების მამიკოს ორდენი გადაეცა, საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა და ეკლესიის იმიჯი სერიოზულად დაზიანდა. საჭირო იყო იმიჯის რეაბილიტაცია, რადგან სააკაშვილს არა-დისკრედიტირებული ეკლესიის მხარდაჭერა სჭირდება.

მეორეც, სააკაშვილი ნელ-ნელა ემიჯნება „თავისუფლების ინსტიტუტს“, რომელმაც რესურსი ამოწურა. ამიტომ ხელისუფლებამ ჯერ წაახალისა თუთბერიძე, შემდეგ – დაგმო მისი გამოსვლა! ამით სააკაშვილი საზოგადოების თვალში წარმოჩინდა, როგორც პატრიარქისა და ეკლესიის დამცველი პრეზიდენტი.

და მესამე, იკვებება ტენდენცია: თუთბერიძე გამოცხადდეს მსხვერპლად. თუთბერიძეზე შესაძლო თავდასხმით დაინტერესებულია მხოლოდ შსს, რომელიც იტყვის, რომ „ქალბატონ თეას თავს „ფანატიკოსი მრევლი“ დაესხა“. თუ თუთბერიძეზე ფიზიკური ზეწოლა მოხდება, რამიშვილ-ლადარიას ტანდემიც დაფიქრდება, ის ხომ არ იქნება შემდეგი? თან, მრევლიც ავგრესიდან აქცენტს მიტევებასა და ლოცვაზე გადაიტანს... მოკლედ, სააკაშვილი ყველა შემთხვევაში, მოგებული რჩება... ამიტომ მიმანია, რომ აქცენტები უნდა შეიცვალოს – პატრიარქის მხარდასაჭერად თეატრალიზებული წარმოდგენების, მსვლელობებისა და აქციების გამართვა საჭირო არ არის!

ესაუბრა ბონდო მძინარაშვილი

# ფსიქოპორტრეტი

## ზურაბ ბაბნიძე:

### ალექსანდრე ჭაჭიას კომენტარი თუ შეფასება გასაგებია ყველასთვის ყველა დროში და ყველგან, რადგან ემყარება ფილოსოფიურ- კონცეფციურ ანალიზს

ქვეყნის მწიგნობრის ჟამს არიან ადამიანები, რომელნიც თავიანთი ღრმა სულიერებით, მაღალმხედრი გონებით, მოღვაწეობით პოლოზობენ გამოსავალს. ეს პიროვნებები ფართო ერუდიციის წყალობით ერის სატკივარს ზუსტად განსაზღვრავენ, თანამედროვეებმა კი ხშირად არ ვიცით მათი ფასი და წონა. პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას ფსიქოლოგიის შესახებ გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი **ზურაბ გაგნიძე**.

– ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით ალექსანდრე ჭაჭიას მიმართად ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, რა განზომილებებს ფლობს მისი სულიერი სამყარო?

– დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში ბატონი ალექსანდრე თავისი მოღვაწეობის ასპარეზზე მკვეთრი ინდივიდუალიზმით გამოირჩევა. მას შესწევს უნარი, გამოამხეუროს პოლიტიკაში ჩაბუდეული, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი ზრახვები. ღვთისგან ნაბოძები უნარებით, შეძენილი ცოდნითა და გამახვილებული ინტუიციით უაღრესად პროგრესულია. იშვიათი ალღოს წყალობით შეუძლია მიმდინარე პროცესების არსში ჩაწვდომა და მათი განზოგადება, რასაც ფსიქოლოგიაში **“სულის უმაღლეს ინტერესთა შემცნებას”** ეძახიან, ხოლო ხალხში – გამჭირავებლობას. თავისი დროისა და ქვეყნის შვილია, მაგრამ არაა ჩაკეტილი, ვიწრო, ნაციონალურ ჩარჩოებში. **ალექსანდრე ჭაჭიას** კომენტარი თუ შეფასება გასაგებია ყველასთვის, ყველა დროში და ყველგან, რადგან ემყარება ფილოსოფიურ-კონცეფციურ ანალიზს და ამით იძენს საერთო-საკაცობრიო ღირებულებებს.

ყოველივე ზემოთქმულში ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას დიდად ეხმარება ერუდიცია, რკინის ლოკია და ჯანსაღი ფსიქოლოგია. მისი განაცხადი – **“როგორც საქართველოს მოქალაქეს, მტკიცა და მწყინს, რომ ჩემი სამშობლო ვიღაცის კოლონიურ დანაშაულად იქცა”** – სრულ თანხვედრაშია საქართველოს მოსახლეობის გულის ამონადულთან. ამ ტკივილს იგი ხალხთან ერთად, უკვე ოცი წელია, დაატარებს და ამ პრობლემების მოსაგვარებლად დაუღალვლად იბრძვის.

ბატონ ალექსანდრეს მსჯელობაში წინა ხაზზეა რაციონალური საწყისი, პარაბოლური აზროვნება, ემოციურობის მოთოკვით მოსაგვარებელი საკითხების მწვავედ დაყენება. ეს კი მას ინტელექტუალურ მოაზროვნედ და შეურიგებელ მებრძოლად წარმოაჩენს, რითაც უთუოდ აძლევს ბიძგს საზოგადოებაში პოლიტიკური აზროვნების განვითარებას. **დღეს არც ერთ ქართველს ეჭვი ადარ ეპარება მის ნათქვამში: “საქართველოს გადარჩენა საგარეო პოლიტიკის კურსის**

**შეცვლაში”**. მან ლოგიკური არგუმენტაციით შეძლო, ჩამოეყალიბებინა, რომ **“არჩეული პოლიტიკური კურსი დამღუპველია და, მისი გაგრძელების შემთხვევაში, ქვეყნის დაშლა გარდაუვალია”**. მისი ნათქვამი გამართლდა და ამის შემდეგ ხალხი უფრო ყურადღებით უგდებს ყურს მის პოლიტიკურ შეფასებებსა და პროგნოზებს.

– რასაც ბატონი ალექსანდრე წლების მანძილზე ამბობდა, ყველაფერი ახდა. ამას როგორ ახსნი?

– ინტუიცი ემყარება გამოცდილებასა და ფაქტების ცოდნას, მათ ლოგიკურ ჯაჭვში მოქცევას. გათვლები გონებრივი იარაღია და მოდის სამართლიანი განსჯის პრინციპით. ინტუიცი უმაღლესი ინდივიდუალიზმის მახასიათებელი ფსიქოპორტრეტი და ემყარება სუბიექტის პიროვნულ სიმწიფეს, მაღალ-განვითარებულ გონებრივ უნარებსა და ძლიერ სულიერ შეგრძნებებს. ფსიქოლოგები მას ინტელექტუალურ-გონებრივ ჭკვერტას ეძახიან.

2008 წლის აპრილში ბატონმა ალექსანდრემ უცხოურ პრესაში თქვა:

**“ნატოსთან დაკავშირებულ მთელ ამ ისტორიაში ამერიკელთა ინტერესი გასაგებია: მათ საქართველო პაიკად სჭირდებათ დიდ გეოპოლიტიკურ თამაშებში. ნატო მხოლოდ ამერიკული ინტერესების რეალიზაციის იარაღია. დღეს პოლიტიკოსებმა ამ პრობლემის გადაჭრა დეკემბრამდე გადადეს, თუმცა დეკემბერშიც ანალოგიურ შედეგს მივიღებთ”**.

მთელის მოცემულობის საფუძველზე მისმა გონებამ ამ ფაქტის არსებითი მხარის ჩაწვდომა მოახდინა. ეს არაა მისი მხრიდან მხოლოდ მისტიური ჭკვერტა, ესაა ფაქტობრივის დემონსტრირებით დასაბუთება, რამაც დიდ როლს თამაშობს ამ სუბიექტის ჯანმრთელი ფსიქიკა. ამგვარად, მას გააჩნია ძლიერ გონებასთან შერწყმული მძლავრი ენერგეტიკული ველი. ფსიქოლოგიაში ინტუიცი ორი სახისაა: გრძნობადი და ინტელექტუალური. ბატონი ალექსანდრე საკითხის ღრმა ცოდნას ამყდევნებს, რასაც ემატება გრძნობადიც. მისი პროგნოზული გათვლები ხშირად ჯერ კიდევ შეუმოწმებელი ჭკვერტების დასაწყისია. დავიმახსოვროთ მისი გათვლა:

**“ნატოს ეგიდით საქართველოში სწორედ თურქეთის სამხედრო ბაზები განლაგდება, რაც ამ სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, უშუალო კავშირი დაამყაროს თურქეთისადმი ლოიალურად განწყობილ ჩრდილო-კავკასიელ ხალხთან, ანუ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგას “დიდი თურანის” იდეის რეალიზაციის გზაზე”**.

ის ამ ანალიზით პოლიტიკური მოვლენების ლოგიკურ საზღვრებს ადგენს ჯერ კიდევ კონტურებში. მას უდაოდ გამჭოლი მხერა აქვს, ჭკვერტს მწიგნობრად ჩასაწვდომ მოვლენათა არსს.

– ობიექტურობისა და პრინციპულობის გარდა, მის სათქმელს ხშირად ტყვიის წონა და სიმძიმე აქვს; რას გვეტყვით – სიფრთხილედ და დიპლომატია ამ ფსიქოტიპისთვის უცხოა?

– ათეული წლები პოლიტიკაშია და ემსახურება თავისი შეურაცხყოფილი ერის დირსებების დაცვას. ფსიქოანალიზით ემოციური ველის თვითრეგულირების ხელოვნებას ნამდვილად ფლობს. მაგრამ

სურს ზარით დარისხებული მჭრელი სიმართლით მთვლემარე თანამემამულეების გამოღვიძება, მათი შეგულიანება მამულისადმი საშვილიშვილო საქმის გასაკეთებლად. ეს გამოსვლები, რასაც თქვენ ტყვიის სიმძიმეს ეძახით, მიზნობრივია. ნათელი გონებითა და მჭრელი ინტელექტით ხალხს სამშობლოსადმი ერთგულებას კი არ ეფიციება, ან ზერეღე, შაბლონურ, უპასუხისმგებლო ინფორმაციას კი არ აწვდის, არამედ მიუთითებს და აჩვენებს, სად და ვისთვის შეეცდომა, ისტორიის რომელ მოსახვევში მოვუხუჭეთ თვალი მკაცრ სინამდვილეს. რაც შეეხება სიფრთხილეს, ხომ გაგიგიათ, **“მართალი კაცი ქვაზე მაგარი”**. ოპონენტები კი მას **“კრემლის აგენტად”** ნათლავენ. კარგა ხანია, რაც ხალხმა გაარკვია აგენტად და ჯაშუშად მონათვლა, ამ იარაღის უნიჭო მიწებება ჩვენი მოღალატე ხელისუფლების ხელწერაა.

მისი ანალიზი ეპოქალურია, სოხუმის დაცემასა და აგვისტოს მოვლენებს ასე აფასებს:

**“ქვეყნის მმართველი დამოუკიდებლად მოაზროვნე, ეროვნულად ორიენტირებული, გონიერი ადამიანი რომ ყოფილიყო, ომი არ გაჩაღდებოდა”**.

არც იმას მალავს, რომ **“რაიმე ძლიერ სამხედრო ბლოკში გაერთიანების იდეა... საქართველოს მეზობელ, ძლიერ სახელმწიფოთა მტრად აქცევს”**. უამრავი არგუმენტებით ლოგიკურად გვიხსნის, რომ **“მხოლოდ სამხედრო ნეიტრალიტეტზე დაფუძნებული პოლიტიკა გვიხსნის მოსალოდნელი ექსცესებისაგან”**;

სხვანაირად **“ეს კატასტროფა იქნება, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ისე ქართველი ერისთვის”**.

აი, სადაა მისი სიფრთხილე, რომელიც უფრო დიდია და მნიშვნელოვანი, ვიდრე პირადი უსაფრთხოება. მას ემინია სამშობლოს დაკარგვის და მზადაა, ყველა მეთოდით ისარგებლოს. იგი რჩება საქართველოს გადარჩენის საშემ და ეკლიან გზაზე **“დაცემულ ქადაგად”** და გვარწმუნებს:

**“ყველაფერი, რასაც მე გთავაზობთ, შეიძლება განახორციელოს მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოს პატრიოტულად განწყობილმა ხელისუფლებამ, რომელიც საკუთარი ხალხის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს”**.

ესაა მისი მოწოდება ქვეყნისა და ერის ზნეობრივი კათარზისისკენ. ის არა მარტო მართალ სარკვეში ვგახედებს, არამედ გადარჩენის მომავალ გზებზეც მიგვითითებს. მისი ზემოქმედების ერთადერთი იარაღი სიმართლეა. ყველაზე მძიმე კი ამ მზისქვეშეთში **“მართალი კაცის”** მანტიაა. ბატონი ალექსანდრე ჭკუადამჯდარი პოლიტიკოსია, მართალი და პირუთენელი შემფასებელი. აი, ამონარიდი მისი შეფასებიდან:

**“განა ოპოზიციას აქვს ქვეყნის განვითარების ალტერნატიული მოდელი?”** ან **“დღეს ვაგვივით “მირს სააკაშვილი!”**, მაგრამ განა ჰყავს ოპოზიციას საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი განვითარების ალტერნატიული სტრატეგიის მატარებელი? მსგავსი არაფერი – არც

პარტია და არც პიროვნება”. და დასძენს, რომ **“ეს არაა გასაკვირი, საქართველოში პოლიტიკური ძალების მთელ სპექტრს მკაცრად აკონტროლებენ ამერიკის შესაბამისი სამსახურები, გარედან მართული პოლიტიკური ძალები ეროვნული ინტერესების რეალიზებას ვერ მოახერხებენ”**. მწიგნობრად, ეს შეფასება გააკრიტიკო, რადგან ცხადია, ოპოზიციის მიზანია, არსებული ხელისუფლება კარგად შეფუთული **“მარიონეტებით”** ჩაანაცვლოს. ბატონი ალექსანდრე იმ პლედადს მიეკუთვნება, რომელიც აგრძელებს ქართველთა დიდი მეფის – ერეკლე მეორეს ტრადიციებს და ერთგულების დროშით დგას ერის მსახურად. ის ვერ მიატოვებს ძალაუფლებასწრთმეულ, ტერიტორიებდაკარგულ, რწმენაშერყეულ და საპყარ სამშობლოს. ის ვერ ურიგდება ტერიტორიების დაკარგვას, ეკონომიკური გაჩანაგების მასშტაბებს, განათლების სისტემის წინააღმდეგობას, ეროვნული მეცნიერების განადგურებას, უვიცი თაობების ფორმირებას, ისტორიის ფალსიფიცირებას, სადაც რუსეთი წარმოდგენილია აგრესორად და საქართველოს მტრად. ვერასოდეს შეეგუება საქართველოს მსოფლიო სამხედრო ძალების ინტერესთა შეფასების პოლიგონად ქცევას; აწუხებს ჰიტლერიზმისა და სტალინიზმის გათანაბრება ევროსაბჭოს მიერ, კონფლიქტების დარეგულირების პროცესის ხელიდან გაშვება და ჩვენი პროდუქციისთვის მასშტაბური ბაზრის დაკარგვა. ყველაზე მეტად მის სულს აფორიაქებს მომავალი, რომ ნატოში შესვლით მასშტაბური სამხედრო კონფლიქტების დროს დასაშვებია საქართველო და ქართველი ერი მორიგ მსხვერპლად და სამიზნედ ვიქცეთ. მიაჩნია, რომ წინაპართა მიერ დანატოვარი უმდიდრესი მემკვიდრეობის შენარჩუნება, ქვეყნის აღორძინებისთვის ბრძოლა მცოდნე პატრიოტთა და ღირსეულ კაცთა საქმეა. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მისი ქმედება თუ აზრი განპირობებულია ინდივიდის ფსიქოლოგიის სტრუქტურული საფუძვრებით: უპირველესი საფუძვრი არის სუბიექტის გონებრივი იმპერია, ანუ ნიჭიერება. ნიჭიერი კაცი კი ყოველთვის გამოირჩევა სიმამაცითა და სულიერი გამძლეობით, რაც ამგვარ ფსიქოტიპს სიმართლის დამცველს ხდის. მათ შეუძლიათ მხოლოდ სინათლისა და სიცხადის შეტანა ადამიანთა ცნობიერებაში. ალექსანდრე ჭაჭიას ფსიქოლოგიურ-სულიერ თანამოყრდინილია მლიერი გონებრივი უნარები, სულიერი სისუფთავე, ლოგიკური ინტელექტი და გრძნობადი განცდა სამშობლოს სიყვარულისა. აქედან იბადება მისი წყალგაუვალი ანალიზი მიზნის მისაღწევი გზებით, მაგრამ მთავარია, არ გამოგვრჩეს დროის ფაქტორი, რომ განხორციელებული ქმედებები შედეგით დამთავრდეს.

**ბატონი ალექსანდრეს პიროვნული უნარები, ზნეობრივი ნორმები, ობიექტურობა, ენერგიულობა, მიზანდასახულობა, შორსმჭკვრეტელობა სამომავლოდ საქართველოსთვის წარმატების შესაძლებლობას იძლევა.**

ესაუბრა  
ლალი შაშიაშვილი

